



Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 C l a s s i c s o f M a r x i s m

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

<http://ciml.250x.com>



GEORGIA

Georgian Section
www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

№ 26060



ლენინი

თხზულებანი

40

იხეივანე
რკ(ბ) IX შრილოვისა
და სსრ კავშირის
საბჭოების II შრილოვის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСИЗМА-ЛЕНИНИЗМА при ЦК КПСС

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
МОСКВА — 1962

საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის
ისტორიის ინსტიტუტი — სსკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

„საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1967

პ. ი. ლენინი

ტომი

40

რედაქციის
აბრარული საკითხის შესახებ
1900—1916

3x2+3x+1-9+9(c)22

☞ 433

1-1-2
4-67 * 28.

წინასწინათ

წინამდებარე ტომი შეიცავს „რევულებს აგრარული საკითხის შესახებ“ — მოსამზადებელ მასალებს ვ. ი. ლენინის შრომებისათვის, რომლებიც მიეძღვნა დასავლეთ ევროპის ქვეყნების რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის ანალიზს, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული თეორიების, რევოლუციონიზმისა და რევოლუციონიზმის კრიტიკას აგრარულ საკითხში.

ტომში შესული მასალები მოიცავს 1900—1916 წლების პერიოდს. ახალ პირობებში, როცა კაპიტალიზმი შევიდა განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმის სტადიაში, ლენინი დიდ ყურადღებას უთმობს რევოლუციური პროლეტარული პარტიის აგრარული პროგრამისა და აგრარული პოლიტიკის შემუშავებასა და დასაბუთებას, მარქსისტული თეორიის შემდგომ განვითარებას აგრარულ საკითხზე — სოფლად კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის, მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მათი ერთობლივი ბრძოლის საკითხებზე. რევოლუციის ბედი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვის გაყვებოდა გლეხობა, რომელიც ევროპის ბევრი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას ან მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. რევოლუციაში, რომელიც მწიფდებოდა, პროლეტარიატის მოკავშირედ გლეხობის მისამ-

ხრობად საჭირო იყო იმ მტრული პარტიებისა და მათი იდეოლოგიების ბოლომდე მხალეობა, რომლებიც გლეხობისადმი ხელმძღვანელობას იჩემებდნენ.

ახალ ეპოქაში ამ საკითხებმა განსაკუთრებული აქტუალობა და საერთაშორისო მნიშვნელობა მიიღო. სწორედ ამიტომ ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა, რეფორმისტებმა და რევოლუციონისტებმა გააძლიერეს გააფთრებული შეტევები მარქსიზმის წინააღმდეგ. მარქსიზმის კრიტიკით გამოვიდნენ ბურჟუაზიული აპოლოგეტები, წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეოლოგები, ოპორტუნისტები სოციალ-დემოკრატიის რიგებიდან. ყველა ისინი უარყოფდნენ მარქსის მიწის რენტის თეორიას, მიწათმოქმედებაში წარმოების კონცენტრაციის კანონს და წვრილ წარმოებასთან შედარებით მსხვილი წარმოების უპირატესობებს, ამტკიცებდნენ, თითქოს სოფლის მეურნეობა ვითარდება განსაკუთრებული კანონების მიხედვით, რომ აქ მოქმედებს გარდუეალი „კანონი ნიადაგის კლებადი ნაყოფიერებისა“. ისინი თვლიდნენ, რომ მიწათმოქმედებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ადამიანის შრომას და არა შრომის იარაღს, არამედ ბუნების სტიქიურ ძალებს. „მარქსის კრიტიკოსები“ ცდილობდნენ ფაქტებისა და სტატისტიკური მონაცემების დამახინჯების გზით დაესაბუთებინათ წვრილი გლეხური მეურნეობის „სიმტკიცე“, მისი უპირატესობანი მსხვილი კაპიტალისტური წარმოების წინაშე.

ვ. ი. ლენინის ისტორიული დამსახურება აგრარული საკითხის დამუშავებაში ის არის, რომ მან დაიცვა მარქსის რევოლუციური მოძღვრება „კრიტიკოსთა“ თავდასხმებისაგან და ახალ ისტორიულ პირობებთან შეფარდებით განავითარა იგი ახალი ტიპის პროლეტარული რევოლუციური პარტიის პროგრამის, სტრატეგიისა და ტაქტიკის დამუშავებასთან დაკავშირებით. დაასაბუთა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის განხორციელების შესაძლებლობა, აუცილებლობა და პირობები რევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე.

აგრარული საკითხის თეორიულ დამუშავებას უდიდესი

მნიშვნელობა ჰქონდა გლეხობის სხვადასხვა ჯგუფებთან მუშათა კლასის სწორი ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრისათვის რევოლუციური ბრძოლის განვითარების პროცესში. გლეხობა კაპიტალიზმის დროს იზღუბა სხვადასხვა კლასობრივ ჯგუფებად, რომელთაც სხვადასხვანაირი და ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები აქვთ, იგი საშუალო გლეხობის „წალეკვის“ ხარჯზე გამოჰყოფს რიცხობრივად მცირე, მაგრამ ეკონომიურად მძლავრ შეძლებულ-კულაკურ ზედაფენას, ხოლო მეორე პოლუსზე—ღარიბი გლეხობის, სოფლის პროლეტარებისა და ნახევრად პროლეტარების მასას. ლენინი ააშკარავებს გლეხის, როგორც წვრილი საქონელმწარმოებლის, ორჭოფ ბუნებას, მისი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების ორჭოფობას: ძირეული ინტერესები გლეხი-მშრომელისა, რომელაც მემამულისა და კულაკის მხრივ ექსპლოატაციისაგან იტანჯება, მას აიძულებს მხარდაჭერა და დახმარება ეძიოს პროლეტარიატთან, ხოლო ინტერესები გლეხი-მესაკუთრისა განაპირობებენ მის ლტოლვას ბურჟუაზიისადმი, მის პოლიტიკურ მერყეობასა და ქანაობას მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის. ლენინი ხაზს უსვამს რომ აუცილებელია გლეხობასთან მუშათა კლასის ისეთი კავშირი, რომელშიც ხელმძღვანელი როლი პროლეტარიატს ეკუთვნის, რომელიც ხელს უწყობს პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებას და სოციალიზმის აშენებას მუშათა და გლეხთა ერთობლივი მეცადინეობით.

* * *

ტომის პირველ განყოფილებაში მოთავსებულია აგრარულ საკითხზე ლენინის შრომების გეგმები და კონსპექტები. მათ შორის ძირითადი ადგილი უჭირავს მოსამზადებელ მასალებს ნაწარმოებისათვის—„აგრარული საკითხი და „მარქსის კრატეკოსები““ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5 და 13). ტომში მოთავსებულ ამ შრომის გეგმის ვარიანტებში ნათლად მჟღავნდება, თუ როგორ სახავს ლენინი ძირითად

ხაზსა და კონკრეტულ საკითხებს ბურჟუაზიულ-რეფორმისტული თეორიებისა და რევიზიონიზმის კრიტიკისათვის. აქ განსაზღვრულია მრავალრიცხოვანი წყაროებიდან აღებული აუცილებელი სარწმუნო მასალის დამუშავების პროგრამა, რათა გააქარწყლოს „მარქსის კრიტიკოსების“ მოსაზრებანი ყბადღებული „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის“ შესახებ და მალთუსიანური შეხედულებანი მშრომელთა გაჭირვების მიზეზებზე, უკუაგდოს მათი თავდასხმები მიწის რენტის მარქსისტულ თეორიაზე და ა. შ.

როცა ამზადებდა შრომას „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები““, აგრეთვე ლექციებსა და რეფერატებს აგრარულ საკითხზე, ლენინმა გულდასმით შეისწავლა უმნიშვნელოვანესი წყაროები, დიდძალი მონოგრაფიული გამოკვლევები; მან ფართოდ გამოიყენა ევროპის ქვეყნების აგრარული სტატისტიკის მონაცემები მარქსიზმის აგრარული თეორიის დასაბუთებისათვის. იგი ამოწმებს, ანალიზს უკეთებს და განაზოგადებს ვრცელ სტატისტიკურ მასალას, ადგენს ცხრილებს, რომლებიც ციფრების დამაჯერებელი ენით გადაგვიშლის ეკონომიური პროცესების ღრმა საფუძველს, მათ დედაარსსა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას. აგრარულ საკითხზე სტატისტიკური მასალების ლენინური ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტატისტიკას როგორც ეკონომიური კანონების შეცნობის, კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობათა გამოვლინების, კაპიტალიზმისა და მისი აპოლოგეტების მეცნიერული კრიტიკის იარაღს.

ტომის პირველ განყოფილებაში გამოქვეყნებული დოკუმენტები გვიჩვენებენ ლენინის თეორიული გამოკვლევების, მის მიერ მარქსისტულ აგრარული თეორიის დამუშავების უშუალო კავშირს მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკასთან.

მოსამზადებელი მასალები ლექციებისათვის „მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე ევროპასა და რუსეთში“ და რეფერატისათვის „სოციალისტ-რევოლუციონერთა და

სოციალ-დემოკრატი აგრარული პროგრამა“, რომლებიც ამ ტომში შევიდა, ასახევენ ლენინის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ეტაპს სოციალისტ-რევოლუციონერთა წვრილბურჟუაზიული პარტიის წინააღმდეგ და სოციალ-დემოკრატიის შიგნით ოპორტუნისტთა წინააღმდეგ, რუსეთის მარქსისტული მუშათა პარტიის ნამდვილად რევოლუციური აგრარული პროგრამისა და ტაქტიკის შემუშავება-დასაბუთებისათვის.

რუსეთში მაშინ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინაღუდე იყო. კაპიტალიზმი რუსეთში იმპერიალიზმად გადაიზარდა ისეთ პირობებში, როცა ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკურ წყობაში ბატონყმობის მნიშვნელოვანი ნაშთები იყო დარჩენილი. კაპიტალიზმამდელი ურთიერთობის მთავარი გადმონაშთი ეკონომიკაში მემამულური მიწათმფლობელობა იყო; ბატონყმობის ნაშთებში გახვეული იყო გლეხური სანადელო მიწათმფლობელობაც, მემამულური მეურნეობის გაძლოლის შრომამიგებთს სისტემასთან შეგუებული. ბატონყმობის გადმონაშთები ამუხრუჭებდნენ საწარმოო ძალთა განვითარებას რუსეთის მრეწველობაშიც და სოფლას მეურნეობაშიც, აძლიერებდნენ მის ტექნიკურ-ეკონომიურ ჩამორჩენილობას დასავლეთის დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, განაპირობებდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის ექსპლოატაციის კაბალური ფორმების არსებობას. ამიტომ აგრარული საკითხი რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საფუძველს შეადგენდა და მის თავისებურებას განსაზღვრავდა.

ლენინი განსაკუთრებით ხაზს უსვამს თეორიის მნიშვნელობას პარტიულ პროგრამის გამომუშავებისათვის: „იმისათვის, რომ ერთმანეთს შევადაროთ პროგრამები და შევადფასოთ ისინი, უნდა განვიხილოთ პ რ ი ნ ც ი ჰ ე ბ ი, თეორია, რომლებიდანაც პროგრამა გამომდინარეობს“ (ეს ტომი, გვ. 31). გლეხური მეურნეობის ეკონომიური ბუნების თეორიულმა ანალიზმა ლენინს საშუალება მისცა სწორად განესაზღვრა პროლეტარიატისა და გლეხობის სხვადასხვა ფენების კლასობრივ ინტერესთა ერთობა და განსხვავება ბურჟუაზიულ-დემოკ-

რატულ რევოლუციაში, დაესახა პოლიტიკა გლეხობის მიმართ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდისათვის აგრარული პროგრამის მთავარი ამოცანა იყო იმ მოთხოვნების განსაზღვრა, რომლებიც მიმართული იყო იქითკენ. რომ მიემხრო გლეხობა როგორც პროლეტარიატის მოკავშირე ცარიზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. „ჩვენი აგრარული პროგრამის აზრი ასეთია: რუსმა პროლეტარიატმა (მათ შორის სოფლის პროლეტარიატმა) მხარი უნდა დაუჭიროს გლეხობას ბატონყმობასთან ბრძოლაში“ (ეს ტომი, გვ. 41). ლენინი გამანადგურებლად აკრიტიკებს ესერების აგრარულ პროგრამას და უცილობლად ამტკიცებს, თუ როგორ მიიყვანა ესერები თეორიულმა უპრინციპობამ და ეკლექტიზმმა მაშინდელი ისტორიული ამოცანის—ბატონყმობის გადმონაშთების მოსპობის რეაქციულ მიფუჩეჩებამდე, გლეხობის კლასობრივ ფენებად დაყოფისა და სოფლად კლასობრივი ბრძოლის უარყოფამდე, „მიწის სოციალიზაციისა“ და „გათანაბრებითობის“ სხვადასხვაგვარი პროექტების შეთხზვამდე და ა. შ.

კრიტიკის მახვილს ლენინი ესერების წინააღმდეგ მიმართავს და ამავე დროს ააშკარავებს ანტიმარქსისტულ შეხედულებებს აგრარულ საკითხზე რუსეთში და გლეხობაზე პ. პ. მასლოვის, ა. ს. მარტინოვის, დ. ზ. რიაზანოვის და სხვა მომავალი მენშევიკებისა, რომლებიც უარყოფდნენ გლეხობის რევოლუციურ როლს, განიხილავდნენ გლეხობას როგორც ერთიან რეაქციულ მასას. მენშევიკებისაგან განსხვავებით, ლენინი ხაზს უსვამს ნაროდნიკობის ორჭოფულ ბუნებას, მის დემოკრატიულ მხარეს, მიმართულს ბატონყმობის ნაშთებთან ბრძოლისაკენ, და მის უტოპიურ-რეაქციულ მხარეს, რომელიც ასახავს წვრილი ბურჟუას მისწრაფებას — მარადიული გახადოს თავისი წვრილი მეურნეობა. ამასთან დაკავშირებით ლენინი მიუთითებს, რომ აუცილებელია ნაროდნიკობის ისტორიული მნიშვნელობის შეფასებისას გავითვალისწინოთ მისი ეს ორი მხარე.

პირველი განყოფილება მთავრდება ორი გეგმით შრომისა

„გლახობა და სოციალ-დემოკრატია“ (იხ. ეს ტომი, გვ. 50—52). ეს გეგმები გვაფიქრებინებს, რომ ლენინი აპირებდა ამ თემაზე დაეწერა განსაკუთრებული შრომა, რომელშიც განზრახული ჰქონდა განეზოგადებია აგრარულ ურთიერთობათა გამოკვლევების შედეგები და საზღვარგარეთის სოციალისტური პარტიების გამოცდილება აგრარული პროგრამების დამუშავებაში და დაესაბუთებია რსდმპ პოლიტიკა გლახობის მიმართ. აქ ლენინი გამჭრიახად მიუთითებს „აგრარული საკითხის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მოსალოდნელ ახლო მომავალში“ (ეს ტომი, გვ. 52), აღნიშნავს კლასობრივ ურთიერთობათა თავისებურებებს რუსეთის სოფელში, იმას, რომ სოფლის პროლეტარიატისათვის აუცილებელია ორ ფრთაზე ბრძოლა: მემამულეებისა და ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ლენინი სახავს სახელმძღვანელო პრინციპებს მარქსისტული პარტიის ორიენტირებისათვის სოფლად კლასობრივი ბრძოლის რთულ პირობებში: „გლახურ ბურჟუაზიასთან ერთად მემამულეთა წინააღმდეგ. ქალაქის პროლეტარიატთან ერთად გლახური ბურჟუაზიის წინააღმდეგ“ (ეს ტომი, გვ. 50).

ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული აგრარული ლიტერატურისა და ოფიციალური წყაროების უდიდესი ფაქტობრივი და სტატისტიკური მასალის კრიტიკული დამუშავება ასახულა ამ ტომის მეორე განყოფილების დოკუმენტებში. აქ განსაკუთრებით საინტერესოა მასალები, რომლებიც ეძღვნება სპეციალურ სტატისტიკურ გამოკვლევათა შედეგების შესწავლასა და დამუშავებას სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით გლახური მეურნეობის მდგომარეობის შესახებ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.

ლენინის მასალები არის აგრარულ ურთიერთობათა ნამდვილად მეცნიერული ანალიზი, სოციალ-ეკონომიური სტატისტიკის მონაცემთა დამუშავებაში მარქსისტული მეთოდის გამოყენების, ბურჟუაზიული წყაროებით და ლიტერატურით კრიტიკულად სარგებლობის შესანიშნავი ნიმუში. ლენინმა უკუაგდო ბურჟუაზიული ეკონომისტების, რეფორმისტებისა

და რევიზიონისტების მტკიცებანი და სარწმუნო მონაცემების საფუძველზე დამაჯერებლად ცხადყო, რომ სოფლის მეურნეობაშიც მსხვილი კაპიტალისტური წარმოება წვრილზე უფრო პროდუქტიულია და გარდუვალად აძევებს მას; მსხვილი კაპიტალი წვრილი გლეხური მეურნეობის ექსპროპრიაციას ახდენს, მშრომელი გლეხობა ჩანადგება და პროლეტარდება. ასეთია სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური განვითარების საერთო კანონზომიერება, თუმცა ცალკეულ ქვეყნებში მისი გამოვლინების ფორმები სხვადასხვაგვარია.

კრიტიკულ შენიშვნებში ს. ბულგაკოვის, ფ. ჰერცის, მ. ჰენტის, ე. დავიდის, კ. კლავკის შრომებზე ლენინი უარყოფს ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ თეორიებს, რომლებიც ხოტბას ასხამენ წვრილ მეურნეობას მიწათმოქმედებაში, მის „უპირატესობას“ მსხვილ წარმოებასთან შედარებით. იგი ამხელს ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ეკონომისტთა ხერხებს, რომელთა მეოხებით ხელოვნურად ამცირებენ დიდ მეურნეობათა შემოსავალს და აღიდეგენ წვრილ მეურნეობათა შემოსავალს. თითქოსდა წვრილი გლეხის სიბეჯითისა და ეკონომიის, მომჭირნეობისა და გამძლეობის მეოხებით წვრილი მეურნეობის „სიცოცხლისუნარიანობის“ ყალბი ხოტბის საპირისპიროდ, ლენინი ცხადყოფს, რომ წვრილი მეურნეობა მიწათმოქმედებაში ძლებს წვრილი მიწათმოქმედების მეტისმეტი დამაუძღურებელი შრომითა და კვების ნაკლებობით, მისი საარსებო ძალების სისტემატური დატაცებით, პირუტყვის ხარისხის გაუარესებით, მიწის მწარმოებლური ძალების დატაცებით.

ლენინი განსაკუთრებით მწვავედ აკრიტიკებს რეფორმისტებსა და რევიზიონისტებს, რომლებიც „სხვებს თავგზას უბნევენ იმით, რომ თავისთავს სოციალისტებს უწოდებენ“, და კაპიტალისტურ სინამდვილეს უფრო გულმოდგინედ ალაშქვებენ, ვიდრე ჩვეულებრივი ბურჟუაზიული აპოლოგეტები. ლენინი დაწვრილებით განიხილავს ე. დავიდის წიგნს „სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა“—რევიზიონიზმის მთავარ შრომას აგარაუღლ საკითხზე, — და ცხადყოფს, რომ ეს არის

ბურჟუაზიულ ცრურწმენათა და ბურჟუაზიული სიცრუის კრებული „სოციალისტური“ ფრაზეოლოგიის საფარით.

ამავე დროს ლენინი ბურჟუაზიული წყაროებიდან და ლიტერატურიდან გულმოდგინედ არჩევს და იკვლევს მეცნიერულად კარგი ხარისხის ფაქტიურ მასალასა და სწორ დაკვირვებებსა და დასკვნებს. ამოიწერა რა შენიშვნა ო. პრინგსჰეიმის სტატიიდან იმის შესახებ, რომ „თანამედროვე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება უნდა შედარდეს მანუ ფაქტურას (მარქსის ეული გაგებით)“ (ეს ტომი, გვ. 98), ლენინმა არაერთხელ გამოიყენა იგი გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 168—169 და ტომი 22, გვ. 112—113). ფ. მორისის ქვიგნის—„მიწათმოქმედება და სოციალური საკითხი. მიწათმოქმედი და აგრარული საფრანგეთი“ — შესახებ ლენინმა ასეთი შენიშვნა გააკეთა: „ავტორს აქვს ყველაზე უფრო პრიმიტიული ანარქიზმის ყველაზე ველური იდეები. არც მცირეოდენი სინტერესო ფაქტიური შენიშვნები“ (ეს ტომი, გვ. 169).

ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტატისტიკური მონაცემების ანალიზს დანიის აგრარული წყობის შესახებ, რომელსაც კაპიტალიზმის აპოლოგეტები სახავდნენ წვრილი გლეხური მეურნეობის „იდეალურ“ ქვეყნად. ლენინი ამხელს ბურჟუაზიულ ეკონომისტთა და რევოიონისტთა ფალსიფიკატორულ ხერხებს და ცხადყოფს აგრარული წესების კაპიტალისტურ ხასიათს ამ ქვეყანაში. ძირითადი ფაქტი, რომელსაც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია და რევოიონისტები აფუჩიჩებენ, ის არის, რომ მიწებისა და პირუტყვის უდიდესი უმრავლესობა დანიაში ხელთა აქვთ მიწათმოქმედთ, რომლებიც მეურნეობას კაპიტალისტურად ეწევიან (იხ. ეს ტომი, გვ. 227 და 402—408). „დანიის სოფლის მეურნეობას,— აღნიშნავს ლენინი,—საფუძვლად უდევს მსხვილი და საშუალო კაპიტალისტური მიწათმოქმედება. „გლეხურ ქვეყანაზე“ და „წვრილ კულტურაზე“ ლაპარაკი ერთიანი ბურჟუაზიული აპოლოგეტიკაა, ფაქტების დამახინჯება კაპიტალისტსხვადასხვა ტიტულიანი და უტიტულო იდეოლოგიების მხრივ“

(თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 13, გვ. 239—241). ლენინი ამითრახებს „სოციალისტებს“, რომლებიც ჩქმალავენ წარმოების კონცენტრაციას და წვრილი წარმოების განდევნას მსხვილი წარმოების მიერ, აფუჩეჩებენ იმ ფაქტს, რომ დანიის სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური აყვავება ეყრდნობა სოფლის მოსახლეობის მასობრივ პროლეტარიზაციას.

ტომის მესამე განყოფილება შეიცავს მასალებს ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების 1910—1916 წლების კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის გამოკვლევისათვის, მათ შორის მასალებს, რომლებიც განეკუთვნება წიგნს „ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. ნაკვეთი 1. კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

ამ ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც „უახლესი კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყანა“, განსაკუთრებით საინტერესოა სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობის, მისი განვითარების ფორმებისა და კანონების შესასწავლად თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში. „ამერიკაში უფრო წმინდაა სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმი, უფრო წმინდაა შრომის განაწილება; ნაკლებია კავშირი შუა საუკუნეებთან, მიწაზე მიჯაჭვულ მუშასთან; ნაკლებია მიწის რენტის უღელი; ნაკლებადაა შერეული სავაჭრო მიწათმოქმედება ნატურალურ მიწათმოქმედებასთან“ (ეს ტომი, გვ. 448). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყველაზე უფრო ვრცელი და ყველაზე უფრო მრავალფეროვან ურთიერთობათა ქვეყანაა, სადაც კაპიტალისტური მიწათმოქმედების ელფერთა და ფორმათა ყველაზე დიდი სიუხვეა.

ბურჟუაზიული ეკონომისტები, რეფორმისტები და რევოზიონისტები, რომლებიც ამახინჯებენ სინამდვილეს, ამერიკის შეერთებული შტატების ფერმერულ მეურნეობას სახავენ როგორც მიწათმოქმედების „არაკაპიტალისტური ევოლუციის“ ნიმუშს, სადაც „წვრილი შრომითი მიწათმოქმედება“ თითქოს

აძვეებს მსხვილ წარმოებას, ფერმების უმრავლესობა „შრო-
მითი მეურნეობანი“ არიან და ა. შ. კაპიტალისტურ საზოგა-
დოებაში მიწათმოქმედების განვითარების არაკაპიტალისტური
გზის შესახებ ამგვარ წვრილბურჟუაზიულ შეხედულებათა
ტიპური წარმომადგენელი იყო ნ. გიმერი, რომელმაც ეს
შეხედულება გადმოსცა სტატიაში აშშ-ში 1910 წლის ცენზის
შედეგების შესახებ. „გიმერა, როგორც ბურჟუაზიულ შეხე-
დულებათა კრებულნი. მისი მოკლე სტატია ამ მხრივ
ტომები ღირს“, — აღნიშნავს ლენინი (ეს ტომი, გვ. 436).
თავიანთ დასკვნებს მარქსიზმის მოწინააღმდეგენი აგებდნენ
„ცალკეული ფაქტებისა და ფაქტიკების, ციფრებისა და ციფ-
რიკების ამოგლეჯაზე პოლიტიკურ-ეკონომიურ ურთიერთო-
ბათა საერთო წყობიდან“. ლენინი ეყრდნობა ამერიკული
სტატისტიკის მასობრივ მონაცემებს და „ასურათებს კაპიტა-
ლიზმს საერთოდ ამერიკის მთელ მიწათმოქმედებაში“ (თხზუ-
ლებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 7).

ბურჟუაზიული სტატისტიკა, აღნიშნავს ლენინი, სასოფლო-
სამეურნეო აღწერებით ვრცელ მასალას აგროვებს, მაგრამ
ყოველი ცალკეული მეურნეობის შესახებ ცნობათა „სიმდიდ-
რითა და სისრულათ მშვენიერი „ეს მასალა უფასურდება და
ფუჭდება, სრულიად უვარგისი ხდება არასწორი შეჯამებისა
და დაჯგუფების გამო, გამოდის ციფრების უაზრო სვეტები,
სტატისტიკური „ციფრუნების თამაში“.

ლენინი დამოუკიდებლად ამუშავებს სასოფლო-სამეურნეო
სტატისტიკის მასობრივ მონაცემებს, ადგენს ცხრილებს მეურ-
ნეობათა დაჯგუფების მეცნიერული პრინციპების შესაბამისად.
სოციალურ-ეკონომიური სტატისტიკის სოციალური შემეც-
ნების ერთ-ერთ იარაღად გამოყენების შესანიშნავი ნიმუშია
ლენინის მიერ შედგენილი შენაჯამი ცხრილი (იხ. ეს ტომი,
გვ. 468—469). იგი ერთმანეთს ადარებს და უპირისპირებს
ფერმების დაჯგუფების სამ სახეს — შემოსავლის, ე. ი. ფერ-
მებში წარმოებული პროდუქტის ღირებულების მიხედვით,
მიწის რაოდენობის მიხედვით და წარმოებაში სპეციალობის
მიხედვით (შემოსავლის მთავარი წყაროს მიხედვით), — და

ცხადყოფს ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების წინააღმდეგობებსა და მიმართულებას.

ვრცელი ფაქტობრივი მასალისა და აგრარული სტატისტიკის მასობრივი მონაცემების ლენინური ანალიზი უცილობლად ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობა კაპიტალისტური გზით ვითარდება. ამას მოწმობს ის, რომ ყველგან იზრდება დაქირავებული შრომის გამოყენება, დიდდება დაქირავებულ მუშათა წილი, მცირდება დამოუკიდებელ მეურნეობათა რიცხვი, მიმდინარეობს ფერმების საერთო ერთობლიობაში საშუალო ჯგუფების წარცხვა და განაპირა ჯგუფების გაძლიერება, მსხველ კაპიტალისტურ მეურნეობათა ზრდა და წვრილ მეურნეობათა განდევნა. კაპიტალიზმი ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედებაში, აღნიშნავს ლენინი, იზრდება როგორც ექსტენსიური მიწათმოქმედების რაიონებში ფართობის მიხედვით მსხვილ მეურნეობათა განვითარების დაჩქარების გზით, ისე ინტენსიური მიწათმოქმედების რაიონებში მიწის უფრო წვრილ ნაკვეთებზე წარმოების ოდენობის მიხედვით უფრო მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობათა შექმნის გზით. ძლიერდება წარმოების კონცენტრაცია სოფლის მეურნეობაში, წვრილ ფერმერთა ექსპროპრიაცია და გამოდევნა—მცირდება მესაკუთრეთა პროცენტი ფერმებს შორის.

ლენინი თავის წიგნში გვიჩვენებს წვრილ ფერმერთა და მოიჯარეთა, განსაკუთრებით ზანგთა გაჭირვებულ მდგომარეობას, რომლებსაც ურცხველ და არამზადულად ჩაგრავენ. „კარჩაკეტილობა, დახვესებულობა, სუფთა ჰაერის უქონლობა, რაღაცნაირი საპყრობილე „განთავისუფლებული“ ზანგებისათვის — აი რა არის ამერიკის სამხრეთი“ (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 18). ამასთან ლენინი აღნიშნავს ამერიკელი ზანგებისა და სამიწათმოქმედო რუსეთის ცენტრში შემამულეთა ყოფილი გლეხების ეკონომიური მდგომარეობის გასაოცარ მსგავსებას.

ამერიკის შეერთებული შტატების წვრილ ფერმერთა გა-

ჩანაგების ერთ-ერთი მაჩვენებელია დაგირავებული ფერმების რიცხვის ზრდა, რაც „მოასწავებს მათ მიმართ ძალაუფლების ფაქტიურად გადასვლას კაპიტალის ხელში“. ფერმერთა უმრავლესობა, ფინანსურ კაპიტალს ხელში რომ უფარდება, კიდევ უფრო მეტად ჩანაგდება. „ვისაც ხელში უჭირავს ბანკები, იმას უშუალოდ უჭირავს ხელში ამერიკის მთელი ფერმების მესამედი, ხოლო არა უშუალოდ ბატონობს მთელ მათს მასაზე“ (იქვე, გვ. 103, 113).

სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური განვითარების ზოგად კანონზომიერებათა და სხვადასხვა ქვეყნებში მათი გამოვლინების თავისებურებათა შესწავლის საფუძველზე ლენინმა ღრმად და ყოველმხრივ გააშუქა მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების გამოძევების პროცესი. ეს რთული და მტანჯველი პროცესი შეიცავს მსხვილი კაპიტალის მიერ მშრომელი გლეხებისა და ფერმერების არა მარტო უშუალო ექსპროპრიაციას, არამედ აგრეთვე „წვრილ მიწათმოქმედთა მეურნეობის გალატაკებას, რაც შეიძლება წლობითა და ათწლობით ჭიანურდებოდეს“ და რაც თავს იჩენს მეტისმეტ შრომასა და კვების გაუარესებაში, გამოიხატება ვალებში ჩავარდნით, მიწის დამუშავების, პირუტყვის შენახვის გაუარესებით, წვრილი მეურნეობის ტექნიკის ერთ წერტილზე გაყინვით და ა. შ.

ევროპისა და აშშ-ის კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის ლენინური ანალიზის შემდეგ ათეული წლები გავიდა. ამ წლების მანძილზე კაპიტალისტური ქვეყნების სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მაგრამ კაპიტალაზმის განვითარების ობიექტური კანონები გარდაუვალი რჩება. კაპიტალისტური სოფლას მეურნეობის განვითარება მთლიანად და სავსებით ადასტურებს აგრარული საკითხის მარქსისტულ-ლენინური თეორიის, სოფლად კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის დახასიათების სასწორესა და სიცხოველეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ხაზგასმულია, რომ კაპიტალისტური ქვეყნების სოფლის მეურნეობა ხასიათდება ბურჟუაზიული წყობილების დამახა-

სიათებელ წინაღმდეგობათა შემდგომი გაღრმავებით: წარმოების კონცენტრაციის ზრდით, წვრილ მიწათმოქმედთა, გლეხთა და ფერმერთა ექსპროპრიაციის გაძლიერებით. მონოპოლიებმა სოფლის მეურნეობაშიც მბრძანებლური პოზიცია დაიკავეს. ფერმერთა და გლეხთა მილიონები ჩანაგდება და მიწიდან იდევენება.

ლენინური ანალიზის შემდეგ გასული ათეული წლების განმავლობაში დიდი ცვლილებები მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკურ აღჭურვილობაში. მაგრამ, ისევე როგორც მარქსისა და ლენინის დროს, მანქანა არა მარტო ზრდის ადამიანის შრომის ნაყოფიერებას, არამედ იწვევს წინაღმდეგობათა შემდგომ გაღრმავებასაც კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობაში.

წარმოების მექანიზაციას მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობებში თან ახლავს შრომის ინტენსიფიკაციის გაძლიერება, მუშაობის პირობების გაუარესება, დაქირავებულ მუშათა გამოძევება, უმუშევრობის ზრდა. ამასთან ერთად ძლიერდება წვრილ გლეხურ მეურნეობათა და ფერმერთა გაჩანაგება, რომელთაც არ ძალუძთ შეიძინონ და რაციონალურად გამოიყენონ თანამედროვე მანქანები, წელში სწყვეტს ვალები და გადასახადები; წვრილი და საშუალო ფერმერები, რომელთაც აძევებენ მსხვილა მეურნეობანი, მოიჯარეებად ან დაქირავებულ მუშებად იქცევიან, გაუბედურებულ ფერმერ-მოიჯარეებს მიწიდან ერეკებიან. ამას მოწმობენ მასობრივი სტატისტიკური მონაცემები სასოფლო-სამეურნეო აღწერებისა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მაგრამ წინააღმდეგ რეალურა სინამდვილისა, თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია, აგრეთვე ყველა ჯურის რეფორმისტები და რევოზიონისტები სხვადასხვა ვარიანტით იმეორებენ მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ დიდი ხნის წინათ უკუგდებულ და ცხოვრებისაგან უარყოფილ თეორიებს კაპიტალიზმის დროს წვრილი გლეხური მეურნეობის „სიმ-

ტიციის“, მსხვილ მეურნეობასთან შედარებით მის „უპირატესობათა“ შესახებ, კაპიტალიზმის დროს მშრომელ გლეხთა უზრუნველყოფილი ცხოვრების შესაძლებლობის შესახებ.

თანამედროვე რეფორმისტები და რევოიონისტები აცოცხლებენ ხოლმე ძველ თეორიებს „მიწათმოქმედების არაკაპიტალისტური ევოლუციის“ შესახებ კოოპერაციის დახმარებით. მაგრამ პროდუქციას გამსაღებელი კოოპერატივები, რომლებსაც აქებენ ბურჟუაზია და მისი „სოციალისტური“ მსახურები, ვერ იხსნიან წვრილ მიწათმოქმედთ გაჭირვებისა და გაჩანაგებისაგან. თანამედროვე სინამდვილე სავესებით ადასტურებს კაპიტალისტურ საზოგადოებაში კოოპერაციის ლენინურ ანალიზს. კონკრეტული მასალათ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში რძის პროდუქტების გამსაღებელ ამხანაგობათა შესახებ ლენინმა ნათელყო, რომ კოოპერატივები აერთიანებენ უპირატესად მსხვილ (კაპიტალისტურ) მეურნეობებს, ხოლო წვრილ მიწათმოქმედთაგან ამხანაგობებში მონაწილეობს სრულიად უმნიშვნელო უმცირესობა (იხ. ეს ტომი, გვ. 209, 211—212). თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში კოოპერაციას, რომელიც ბანკებსა და მონოპოლებს ექვემდებარება, აგრეთვე უმთავრესად კაპიტალისტური მეურნეობანი იყენებენ და არა წვრილი მიწათმოქმედნი.

აგრარულ საკითხზე ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ და რევოიონისტულ შეხედულებათა ლენინურ კრიტიკას ამჟამადაც აქტუალურა მნიშვნელობა აქვს როგორც ბრწყინვალე ნიმუშს პარტიულობისა მეცნიერებაში, შეურიგებელი ბრძოლისა მტრულა იდეოლოგიის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული აპოლოგეტკას, თანამედროვე რეფორმიზმისა და რევოიონიზმის წინააღმდეგ. კაპიტალიზმის საერთო კრიზისისა და კლასობრივ წინააღმდეგობათა მზარდი გამწვავების პირობებში ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები აძლიერებენ გლეხობისათვის ბრძოლას, რისთვისაც იყენებენ სოციალური დემაგოგიის, კლასობრივ ინტერესთა პარმონიის რეფორმისტულ ქადაგების მეთოდებს, კაპიტალიზმის შენარჩუნების პირობებში წვრილი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების დაპირე-

ბებს. ლენინური საპროგრამო მითითებანი აგრარულ საკითხზე აიარაღებენ კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს უნართ — სწორად გადაწყვიტონ უმნიშვნელოვანესი საკითხი მუშათა კლასის დამოკიდებულებისა გლეხობასთან როგორც მოკავშირესთან დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის რევოლუციურ ბრძოლაში კაპიტალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საპირისპიროდ ბურჟუაზიული მრჩევლებისა, რომლებიც წვრილ გლეხებში ავრცელებენ ილუზიებს კაპიტალიზმის პირობებში კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობის შესახებ, კაპიტალისტურ ქვეყნებში გლეხობის ნამდვილი მდგომარეობის მარქსისტულ შეფასებას „აუცილებლად მივყავართ იმის აღიარებამდე, რომ წვრილი გლეხობის მდგომარეობა გამოუვალი და უიმედოა — გარეშე პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისა მთელი კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ“ (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 236).

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ისტორიულ მაგალითზე მთელი მსოფლიოს გლეხები რწმუნდებიან სოფლის განვითარების სოციალისტური გზის უპირატესობებში, იმაში, რომ მხოლოდ ნამდვილად სახალხო ხელისუფლების დამყარებასა და საწარმოო კოოპერირებას შეუძლია იხსნას გლეხები სიღატაკისა და ექსპლოატაციისაგან, უზრუნველყოს მათთვის შეძლებული და კულტურული ცხოვრების პირობების შექმნა. სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილებამ საბოლოოდ გააცამტვერა კაპიტალის მსახურთა „თეორიები“ იმის შესახებ, თითქოს გლეხობა ძირშივე მტრულად იყოს განწყობილი სოციალიზმისადმი. პრაქტიკულად დამტკიცდა, რომ სწორია მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებანი გლეხური მეურნეობის წარმატებითი სოციალისტური გარდაქმნისა და სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებლობაში მშრომელი გლეხობის ჩაბმის აუცილებლობისა და შესაძლებლობის შესახებ.

* * *

ამ ტომში შესული მასალების ძირითადი ნაწილი პირველად გამოქვეყნდა ლენინის XIX, XXXI და XXXII კრებულებში 1932—1938 წლებში. შვიდი დოკუმენტი პირველად ქვეყნდება: შენიშვნები ე. სენიურეს წიგნზე „სოციალური და სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის ნარკვევები“, ხელნაწერი, რომელშიც წარმოდგენილია ანალიზი მონაცემებისა წიგნიდან „საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა“, შენიშვნები გ. ფიშერის ნაშრომის გამო „მანქანების სოციალური მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში“, ხელნაწერი, რომელშიც გარჩეულია ნაშრომი „ხელისა და მანქანური შრომა“, შენიშვნები ე. იორდის წიგნზე „ელექტრული ძრავი სოფლის მეურნეობაში“ და სხვები.

ამ ტომში შეტანილი ყველა დოკუმენტი არის ლენინის ავტოგრაფი.

მასალები უცხო ენებზე მოცემულია რუსული თარგმანით. ამ გამოცემისათვის თარგმანები ხელახლა შემოწმდა და დაზუსტდა. ტომში გამოყენებულია თარგმანები, რომლებიც ლენინმა შეასრულა თავის შრომებში „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები““, „ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. ნაკვეთი 1. კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში“ და სხვა ნაშრომებში. დოკუმენტები, რომლებიც პირველად ქვეყნდება, მოცემულია ორიგინალის ენაზე და თარგმანით.

წიგნებისა და პერიოდული გამოცემების სახელწოდებანი მოცემულია ორიგინალის ენაზე. თარგმნილი არ არის აგრეთვე საყოველთაოდ სახმარი უცხო სიტყვები, რომლებიც ლენინთან გვხვდება: etc., versus, sic!, idem და სხვები.

ტომში შენარჩუნებულია ლენინის ხელნაწერის თავისებურებანი: მასალის განლაგება, ხაზის ჩამოსმა გვერდით და ხაზგასმა ტექსტის შიგნით. ხაზგასმა ტექსტის შიგნით გადმოცემულია შრიფტების მეშვეობით: ერთი სწორი ხაზით გახაზული იბეჭდება კურსივით; ორი სწორი ხაზით გახაზუ-

ლი — კურსივი დაყოფით; სამი სწორი ხაზით გახაზული — ნახევრადმუქით; ოთხით გახაზული — ნახევრადმუქი დაყოფით; ერთი ტალღისებური ხაზით გახაზული — ნახევრადმუქი კურსივით; ორი ტალღისებური ხაზით გახაზული — ნახევრად მუქი კურსივი დაყოფით*.

ამ გამოცემის მთელი ტექსტი ხელახლა შემოწმებულია ვ. ი. ლენინის ხელნაწერებისა და პირველწყაროების მიხედვით.

ხელახლა შემოწმდა ყველა სტატისტიკური მონაცემი; ცალკეულ შემთხვევებში არსებული უზუსტობანი ჯამებისა, ნაშთისა და პროცენტებისა დატოვებულია უცვლელად, რადგან ისინი აიხსნება რიცხვების დამრგვალებით, რაც ლენინს გაკეთებული აქვს შესაბამისი წყაროების დაკონსპექტების დროს.

ამ ტომში გამოქვეყნებული მასალების სტრიქონქვეშა შენიშვნებში დამოწმებულია ვ. ი. ლენინის შრომები „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები“ „და „ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ“. ამით ნაჩვენებია მოსამზადებელი მასალების განუყრელი კავშირი მის შრომებთან და მოცემულია იმის შესაძლებლობა, რომ ნათლად დავინახოთ, თუ როგორ გამოიყენა ლენინმა ეს მასალები თავის შრომებში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი

* ქართულში შრიფტის შესაძლებლობათა გათვალისწინებით წინამდებარე თარგმანში ლენინის ხელნაწერის თავისებურებანი გადმოცემულია შემდეგნაირად: ერთი და ორი სწორი ხაზით გახაზული იბეჭდება თერთი კორპუსი დაყოფით; სამით — მუქი კორპუსით; ოთხით — მუქი დაყოფით; ერთი და ორი ტალღისებური ხაზით გახაზული — მუქი დაყოფით. ქართ. გამოც. რ ე დ.

გეგმები და კონსექციები
შრომებისა
აგარული საქმის
შესახებ

**გეგმები შრომისა
„აბრარული საკითხი და „მარქსის
კრიტიკოსები““¹**

პირველი ვარიანტი

იქნებ დაიყოს ასე:

- ა) ზოგიერთი ზოგადი დებულება და ბულგაკოვის „თეორიები“¹
- ბ) contra-კრიტიკოსების ფაქტობრივი მონაცემები
M. Hecht*
ბადენის ანკეტა (Winzer** -თან დაკავშირებით)
„წელმაგარი გლეხობა“
K. Klawki;***
„Bäuerliche Zustände“²
(Hertz****, 15) ბოდრილიარი³
ფრანგული სტატისტიკა. (სუშონი და მორისი)*****
გერმანული სტატისტიკა***** (ამხანაგობასთან დაკავშირებით)
- ბელგია (Vandervelde, Chlapowski*****?).
- გ) კლასობრივი ბრძოლა თუ კოოპერაცია?
ენგელსის დამახინჯება⁴.

* იხ. ეს ტომი, გვ. 108—117. რ ე დ.

** მევენახე. იხ. ეს ტომი, გვ. 177—183. რ ე დ.

*** იხ. ეს ტომი, გვ. 132—153. რ ე დ.

**** იხ. ეს ტომი, გვ. 83—96. რ ე დ.

***** იხ. ეს ტომი, გვ. 166—174. რ ე დ.

***** იხ. ეს ტომი, გვ. 190—219. რ ე დ.

***** იხ. ეს ტომი, გვ. 175—176. რ ე დ.

ზოგადი მონაცემები მეპატრონეებისა და მუშების შესახებ.
კაპიტალისტური წყობილება.

Böttger⁵. [ბულგაკოვის დიდი თანმიმდევრობა]

დ) რუსული აგრარული პროგრამა „ისკრის“ № 3⁶.

მეორე ვარიანტი

ა ბულგაკოვი ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის შესახებ.

(შდრ. მასლოვი, რომელიც არცთუ მთლად მართალია?)

ა ბულგაკოვი მსხვილი და წვრილი მეურნეობის შესახებ.

((Ad* ბ?)) ბულგაკოვი კოოპერაციისა და ინდივიდუალიზმის შესახებ მიწათმოქმედებაში

ბ ბადენის მონაცემები (ჭებტთან დაკავშირებით).

ბ ბოდრილიარი...

ბ „Bäuerliche Zustände...“

ბ) ... Böttger...

ბ) { ენგელსისა და მარქსის დამახინჯება.

(„Die Bauernfrage“**)

ბ) { „Moritz Hecht“.

ბ) { ამხანაგობანი. (შდრ. გერმანული სტატისტიკა
სარძეო მეურნეობათა შესახებ)

გ) { საერთო მონაცემები სოფლის მუშებისა და სოფლის მეპატრონეების შესახებ.

დ) { რუსული აგრარული პროგრამა „ისკრის“ № 3.

ბ) { K. Klawki.

ბ ფრანგული მონაცემები მესაკუთრეებისა და პროლეტარიატის შესახებ მიწათმოქმედებაში.

(Ad ა?) ელექტრობა მიწათმოქმედებაში

Pringsheim***

Mack⁸

Kautsky⁹

* — პუნქტის მიმართ. რ ე დ.

** — „გლეხთა საკითხი“. რ ე დ.

*** იხ. ეს ტომი, გვ. 97—100. რ ი ო.

მეცამე ვარიანტი

კრიტიკოსები აბრარულ საკითხში

- ა) 1. შესავალი. ბზარი ორთოდოქსალურ მარქსიზმში (ჩერნოვი № 4, 127¹⁰).
- I 2. კრიტიკოსების „თეორიის“ საერთო ხერხები. ბულგაკოვი: law of diminishing returns* (შდრ. მასლოვი)
3. მისი უარყოფა ბულგაკოვისვე მონაცემებით.
4. რენტის თეორია (შდრ. მასლოვი).
5. მალთუსიანობა: შდრ. ირლანდია¹¹.
- II 6. ჰერტი (+ბულგაკოვი). სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მსხვილი და წვრილი წარმოება (ბულგაკოვი δ^{**} ჰერტი: ϵ^{***}). Contra ბულგაკოვი I 240 II 115, 133.
7. ჰერტი. „კაპიტალიზმის განსაზღვრება“ (და ჩერნოვი)
8. — იპოთეკები (და ჩერნოვი). შდრ. ბულგაკოვი შემნახველი სალაროების შესახებ II 375.
9. — ენგელსი ამერიკის შესახებ¹² (Idem ჩერნოვი). ბულგაკოვი II 433 (შდრ. I 49)
ელექტრობა მიწათმოქმედებაში (Pringsheim, Mack, K. Kautsky).
- III 10. ჩერნოვი. კაუცკის განდგურება (ა—6 ჩერნოვი¹³). Ibidem კაუცკი მევახშეობის შესახებ, კაუცკი პროლეტარიატის ნიშნების შესახებ.
ვოროშილოვი.
11. ვოროშილოვი ნ. — ონისა და სხვ. შესახებ (ა—1 ჩერნოვი¹³)
12. „ კაპიტალიზმის „ფორმა და შინაარსი“

* — ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 73. რ ე დ.

*** იხ. ეს ტომი, გვ. 94. რ ე დ.

- ბ)) IV 1. M. Hecht (Blondel¹⁴, ჰერცი, დავიდი, ჩერნოვი).
 2. K. Klawki (contra Auhagen) (ბულგაკოვი)
 V. 3. „Bäuerliche Zustände“ (ჰერცისა და ბულგაკოვის ციტატები)¹⁵
 4. ბადენის ანკეტა.
 5. დასკვნები „წელმაგარი გლეხობის“ შესახებ (ბულგაკოვი ე*. ჰერცი — S. 6 NB, ჰერცი დ**. ჩერნოვი წვრილბურჟუაზიული გლეხობის შესახებ. ჩერნოვი № 7, 163; № 10, 240).
 VI 6. ბოდრილიარი (ჰერცი გვ. 15 და სხვ., ბულგაკოვი II, 282)
 7. სუშონი და მორისი.
 VII 8. ფრანგული სტატისტიკა. (საკუთრება და travaux agraires^{***}, შდრ. ჰერცი: „არავითარი პროლეტარიზაცია“ S. 59. პატრონები და მუშები; საწარმოები დაჭირავებული მუშებით).
 VIII 9. გერმანული სტატისტიკა. ლათიფუნდიები. (შდრ. ჰერცი და ბულგაკოვი).
 9. bis. გერმანული სტატისტიკა...^{****} (შდრ. ბულგაკოვი II 106).
 10. გერმანული სტატისტიკა. სოფლის მრეწველობის ინდუსტრიალიზაცია (ბულგაკოვი და ჰერცი. S. 88).
 11. გერმანული სტატისტიკა. ამხანაგობანი. შდრ. ბადენის მონაცემები Winzer'ების შესახებ.
 IX 12. ბელგია. (ვანდერველდე, Chlapowski).
 გ)) X 1. ზოგადი მონაცემები მეპატრონეებისა და მუშების შესახებ.
 (კაპიტალისტური წყობილება)
 2. Unfug^{*****} „გლეხობის“ მიმართ.

* იხ. ეს ტომი, გვ. 73. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 94. რ ე დ.

*** — აგრარული შრომები. რ ე დ.

**** რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია, რ ე დ.

***** — უმსგავსობა. რ ე დ.

3. ენგელსის დამახინჯება („Die Bauernfrage“). (ჰერცი, ჩერნოვი).
4. ბულგაკოვი (უფრო თანმიმდევრულია).
5. კლასობრივი ბრძოლა თუ კოოპერაცია.
6. *Böttger*.

დ) XI რუსული აგრარული პროგრამა და „ისკრის“ №3. საკითხის დაყენება „ისკრის“-ში. შეპასუხება 2ა3ნ-ის¹⁶ მიმართ მოსაზრებანი *pro* და *contra*.

მეოთხე ვარიანტი

კრიტიკოსები აგრარულ საკითხში

I

1. შესავალი. აგრარული საკითხი — „ბზარი“ (პირველად) ორთოდოქსალურ მარქსიზმში. (ჩერნოვი № 4, 127, № 8, 204).
2. ზოგადი თეორიული დებულებანი და კრიტიკოსების (ბულგაკოვი, ჰერცი და ჩერნოვი) მოსაზრებანი. ბულგაკოვი: *law of diminishing returns* (შდრ. მასლოვი). ბულგაკოვის ფრაზები: I, 2, 13, 17, 18, 20, 21 (29—30 განსაკუთრებით), 34, 35, 64 და მრავალი სხვა (შდრ. კ. კაუტსკი ბრენტანოს წინააღმდეგ. ტყუილად კი არ არის ბულგაკოვი აღტაცებული ბრენტანოთი. I, 116.)
3. ამ კანონის უარყოფა თვით ბულგაკოვის მონაცემებით: ინგლისში: I, 242, 260; გერმანიაში: II, 132—133. საფრანგეთში II, 211.
4. რენტის თეორია. (შდ. მასლოვი). ბულგაკოვი I, 92. 105. 111—113.

5. მალთუსიანობა. ბულგაკოვი I, 214, 255. II 41 etc. II 212 (საფრანგეთი *N B*)—შდრ. II 159. განსაკუთრებით II 221 და შემ. 223, 237 და 233. 249. 265 NB (და 261). ირლანდია II 351, 384.

II

6. ბულგაკოვი+ჰერცი. სასოფლო-სამეურნეო მანქანები ბულგაკოვი I, 43 — 51. ჰერცი S. 40, 60—65. რეაქციული დამოკიდებულება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისადმი: ჰერცი 65; ბულგაკოვი I 51—52; II 103.
 contra მანქანების შესახებ. ჰერცი 36 (ამერიკა); 43—44; 15 (ლათინურენდები), 124 (ორთქლის გუთანი). ბულგაკოვი I 240; II 115, 133.
7. ბულგაკოვი+ჰერცი. მსხვილი და წვრილი წარმოება. ბულგაკოვი I 142, 154; II 135; 280 (შდ. 282 — 283).
 contra ბულგაკოვი I 239 — 240. ჰერცი 52, 81. (მანქანები წვრილ მეურნეობებში). contra 74 (წვრილში > შრომა); 89 — 90 (*Arbeitsrente** გლეხისა); 91 — 92 (*Neben-erwerb***).
 ბულგაკოვი II 247 (წვრილი < მდიდარია კაპიტალით).

ბულგაკოვი ჰერცის შესახებ I 139 („შესანიშნავი“).

მანქანები ინგლისში: I 252

(ჰერცი 67: მოსავლიანობის გადიდება ორთქლის გუთნის მეოხებით).

contra ბულგაკოვი. ინგლისში: I 311, 316, 318—319. წვრილი წარმოება > დაზარალდა. I 333 (ინგლისში — ? არ არის დამტკიცებული მათი (წვრილთა) სიცოცხლის უუნარობა?).

* — შრომამიყვებითი რენტა. რ ე დ.

** — დამატებითი საშოვარი. რ ე დ.

საფრანგეთი II 188—
189. (საშუალოთა შემ-
ცირება) — ბულგაკო-
ვის ხრიკებია) II 213
(წერილი „წინ უძლ-
ვის“?).

ირლანდია II 359—360.

8. პერცი: „კაპიტალიზმის განსაზღვრა“ (S. 10)—და ჩერნოვი № 4, 133;
9. პერცი (და ბულგაკოვი „ნაჩალო“-ში?) — იპოთეკები, პერცი 24, 26, 28. (ჩერნოვი № 10, 216—217). კაუცკის პასუხი.
10. „ენგელსის შეცდომა“ (პერცი 31; ჩერნოვი № 8, 203). შდრ. ბულგაკოვი I 49 და II 433 («მიამიტობა»). შდრ. ელექტრობა მიწათმოქმედებაში (Pringsheim, Mack, K. Kautsky).

III

11. ჩერნოვი—„კაპიტალიზმის ფორ-
მა და შინაარსი“: № 6, 209;
№ 8, 228.
12. ჩერნოვი რუსი მარქსისტების
შესახებ: № 4, 139; № 4, 141;
№ 8, 238; № 10, 213; № 11, 241
და № 7, 156 (ვინ არიან ამხანა-
გები?) ნიკოლაი—ონისა და კაბ-
ლუკოვის შექება: № 10, 237.
მარქსიზმის დამა-
ხინჯება: „ინტერნაცი-
ონალ“: № 5, 35. მარ-
ქსი მიწათმოქმედების
შესახებ № 6, 216, 237
და მრავალი სხვა. ენ-
გელსი ბელგიის შესა-
ხებ, № 10, 234.
ეურნალი „ნაჩალო“ I,
გვ. 7 და 13.
13. ჩერნოვი. კაუცკის განადგურება: „მარქსიც კი ვერ აუ-
თვისებია“ (№ 7, 169)—*idem* კრებულში „დიად საგუშაგო-
ზე“ მევახშეობის შესახებ, პროლეტარიატის ნიშნების შე-
სახებ. ვოროშილოვი: № 8, 229. (შდრ. კ. კაუცკი)

IV

14. *M. Hecht* (Blondel, p. 27, ჰერცი 68, 79; ჩერნოვი № 8, 206. დავიდი).
15. *K. Klawki* (ბულგაკოვი I 58). 2 სიტყვა აუჰაგენის გამო. ჰერცი 70 და ბულგაკოვი I 58. (შდრ. ჰერცი 66: მოსავალა პრუსიასა და სამხრეთ გერმანიაში).
16. „*Bäuerliche Zustände*“. (ბულგაკოვისა და ჰერცის ცატატები).

V

17. ბადენის ანკეტა (დამოწმებანი ჰერცისა 68, 79 განსაკუთრებით; და ბულგაკოვი *passim**: განსაკუთრებით II 272).
18. VII დასკვნები „წელმაგარი გლეხობის“ შესახებ (ბულგაკოვი II 138 NB და 456), გლეხის დამოკიდებულების შესახებ მუშისადმი (ბულგაკოვი II 288; ჰერცი 4—15; 9. ჰერცი, 6 (1—2 დაქირავებული მუშით) და 5. ჩერნოვი № 7, 163 („წვრილ-ბურჟუაზიული“); № 10, 240 (გლეხი = მუშა კაცი)).
- ბულგაკოვი II 289 („გლეხოფობია“). ბულგაკოვი II 176 („ფრანგი გლეხობა დაიშალა პროლეტარიატად და მესაკუთრეებად“) ბულგაკოვი II 118 („წელმაგარი გლეხები + ტექნიკურად მოწინავე მსხვილი გლეხები“).

VI

19. ბოდრილიარი (ჰერცი, 15 და შემდგომი, 56—58; ბულგაკოვი II 282).

შდრ. ბულგაკოვი II 208
ბოდრილიარის I ტომიდან

სუშონი და მორისი. (შდრ. ბულგაკოვი II 280 წვრილ მეურნეობათა დაქირავებული მუშების შესახებ).

სუშონი წვრილი და მსხვილი მეურნეობის აუცილებლობის შესახებ. შდრ. ბულგაკოვი I 338 (ინგლისი: ისტორიის განაჩენი — წვრილი მეურნეობისკენა)

შდრ. *Rentengüter*¹⁸.

* — ყველგან. რ ე დ.

VII

20. ფ რ ა ნ გ უ ლ ი ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა. სოფლის მოსახლეობის განაწილება. (ჰერცი 55; ბულგაკოვი II 195—197 და ჰერცი 59 და 60: (არავითარი პაუპერიზაცია). პატრონები და მუშები (შდრ. ბულგაკოვი II 191). საწარმოები დაქირავებული მუშებით.

ჰერცი S. 55 და S. 140 გლახების—დაქირავებული მუშახელის მოგზაურობის შესახებ ჩრდილოეთიდან საფრანგეთის სამხრეთში. (შდრ. ბულგაკოვი II 191).

VIII

21. გ ე რ მ ა ნ უ ლ ი ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა. ფართობების სტატისტიკა. მიწისმქონე მუშების შემცირება (ბულგაკოვი II 106). ლატიფუნდიები. (შდრ. ჰერცი 15; ბულგაკოვი II 126, 190, 363). ინდუსტრიალიზაცია (ბულგაკოვი II 116; ჰერცი 88).

—ბულგაკოვი II 260

ილუზიები, რომ მსხვილი მეურნეობა პროგრესის მატარებელია.

—ჰერცი, 21, 89 („სოციალიზმის მთავარი ამოცანა“).

ამხანაგობანი (შდრ. ბადენის მონაცემები Winzer'ების შესახებ. ჰერცი 120).

IX

22. ბ ე ლ გ ი ა. (ვანდერველდე. დამატებითი საშოვარი. ხლაპოვსკი. წვრილი წარმოების მდგომარეობა. დამატებითი საშოვარი).

X

23. ზოგადი მონაცემები მეპატრონეთა და მუშათა შესახებ ევროპის მიწათმოქმედებაში (კაპიტალისტური წყობილება) (შდრ. მორისი კონცენტრაციის შესახებ. ჰერცი 82 და 55 (!)).

შდრ. ბულგაკოვი II 455 („პურის საკითხი > საშინელია, ვიდრე სოციალური“)

24. Unfug ცნების მიმართ „გლეხო-
ბა“, (შდრ. რუსული სტატისტიკა.
მისი უპირატესობანი).
25. ენგელსის დამახინჯება („Die Ba-
uernfrage“) ამხანაგობების სა-
კითხში. ჰერცი 122 (ჩერნოვი
№ 5, 42; № 7, 157).
26. ბულგაკოვი > თანმიმდევრულია
(II 287, 266, 288). ჰერცი სო-
ციალიზმის შესახებ: S. 7,
14, 10, 72—73, 123, 76, 93,
105.
სოციალიზმის შესახებ: ბულგა-
კოვი II 289, 456, 266 [კლასობ-
რივი ბრძოლის უარყოფა: შდრ.
კიდევ ბულგაკოვი I 303 და 301.
—ინგლისი].
27. კლასობრივი ბრძოლა თუ კოო-
პერაცია. ჰერცი 21, 89. („სო-
ციალიზმის მთავარი ამოცანა“.)
(შდრ. ჩერნოვი. არაკაპიტა-
ლისტური ევოლუცია № 5, 47;
№ 10, 229, 243—244.)

ჩერნოვი კრებულში „დიად სა-
გუშაგოზე“ 195, 185; 188, 196.

დაპირისპირებულობა
ქალაქსა და სოფელს
შორის. ჰერცი 76

ბულგაკოვი
„ნახალო“-ში

კლასობრივი ბრძოლა
თუ მსხვილი და წვრი-
ლი ბურჟუაზიის ინ-
ტერესებისადმი
შეგუება.

(უკეთესი გზაა თუ არა
ფულადი მეურნეობა?
ჰერცი 20).

[ბულგაკოვი versus სო-
ციალიზმი იხ. § 26].
ბულგაკოვი II 255
(მინდვრის ბოსტნების-
თვის: შდრ. II 105:
აგარაიები. Idem პუ-
რის გადასახადების შე-
სახებ. II 141—148).

28. Böttger (შდრ. კ. კაუცკი) (ციტირებულია ჩერნოვის მი-
ერ №)

XI

29. რუსული აგრარული პროგრამა და ჟისკრის* № 3.
საკითხის დაყენება

{ 1) კლასობრივი ბრძოლა }
{ 2) მისი 2 ფორმა }

30. შეპასუხება 2ა3ნ-ს მიმართ („ჩამონაჭრები“).
მოსაზრებანი *pro* და *contra*.

დაწერილია 1901 წ. ივნის—სექტემბერში

პირველად დაიბეჭდა 1932 წ. ლენინის
XIX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერას
მიხედვით

**შინაარსი შრომისა
„აგრარული საკითხი და „მარქსის
კრიტიკოსები““**

§§	I. (კლესიონატი ნაყოფიერების კანონი)	გვ. 2— 27.
	II. (რენტის თეორია)	გვ. 27— 48.
	III. (მანქანები)	გვ. 48— 73.
	IV. (ქალაქი და სოფელი)	გვ. 74—101.
	V. (ჭეხტი)	გვ. 102—117.
	VI. (Klawki)	გვ. 118—144.
	VII. (ბადენის ანკეტა)	გვ. 144—168.
	VIII. (გერმანული სტატისტიკა)	გვ. 168—189.
	IX. (idem)	გვ. 189—222.

დაწერილია 1901 წ. ივნის—სექტემბერში

პირველად დაიბეჭდა 1932 წ. ლენინის
XIX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ვ. ი. ლენინის ხელნაწერი
„V—IX თავების შინაარსი შრომისა
„აგრარული საკითხი და
„შარქისის კრიტიკოსები““
— 1906 წლის თებერვალზე ადრე.

ზრომის — „აგარაული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები““ V — IX თავების შინაარსი ¹⁹

) {	(§ V) გვ. 1—16 (102—117).	პეხტი	}} Kraft- futter- mittel.
	§ VI) გვ. 17—39 (118— —).	აუჰაგენი და Klawki	
	§ VI გვ. 39—43	ბ-ნ ბულგაკოვის ცი- ტატები „Bäuerliche Zustände“-დან.	
§ VII	43—56	(ბადენის ანკეტა)	
VII	56—67	გლეხობის დაშლის მნიშვნელობა და ბულგაკოვის მიერ ამის უგულებელ- ყოფა.	
VIII	67—89	გერმანული სტატისტიკის ჯამი (1) წვრილ მეურნეობათა გადიდება (2) ლატიფუნდიების მნიშვნელობა (3) საშუალო მეურნეობათა გადიდება: მუშა პირუტყვის გაუარესება.	
IX	89—121:	საერთო გერმანული სტატისტიკა	
	89—94:	პირუტყვი მეურნეობათა სხვადასხვა ჯგუფში	
	94—98:	ტექნიკური წარმოებანი	
	98—108:	სარძეო მეურნეობა	მეთამბაქოეობა + მევენახეობა
	108—112:	კოოპერაცია	
	112—121	სოფლის მოსახლეობა მიწისმქონე და უმიწაწყლო	

*) ჩქარი კითხვა ჩუმად
დაახლოებით $\frac{1}{2}$ საათი

120 გვერდი \geq დაახლოებით 2 საათი²⁰

დაწერილია 1906 წ. თებერვალზე აღრე
პირველად დაიბეჭდა 1938 წ.
ლენინის XXXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* —კონცენტრირებული საკვები. რ ე დ.

მარქსისტული უხედეულებანი აბრარულ საკითხზე ევროკასა და რუსეთში ²¹

ლექციების კონსეპტები

პირველი ვარიანტი

მარქსისტული უხედეულებანი აბრარულ საკითხზე ევროკასა და რუსეთში

1. აბრარული საკითხის ზოგადი თეორია.

1. საეკონომიკური მიწათმოქმედების ზრდა. — პროცესის ფაზისები. — ბაზრის წარმოშობა: ქალაქები. — გლეხმრეწველი („Kapital“, III, 2?)²². — სასურსათო მეურნეობის ნაშთები. — ბაზრისადმი გლეხის დამორჩილების ხარისხი. — თავისუფალი კონკურენცია მიწათმოქმედებაში. Quoad?*

NB (საშინაო ნატურალური გლეხური სარეწების დაცემა)
(კ. კაუცკი და ენგელსი²³).

ფულის საჭიროება (მევახუნი. გადასახადები).

2. ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი. რიკარდო—მარქსი (ბულგაკოვი და მასლოვი ბოლო დროს).
3. რენტის თეორია. რიკარდო—მარქსი: დიფერენციული და აბსოლუტური რენტა. (მასლოვის შეცდომა.)
- 3a. ქალაქის გამოყოფა სოფლისაგან (შდრ. ბულგაკოვი და ჰერცი. „ზარია“ № 2/3²⁴, Nossig**).

* — როდემდე? რამდენ ხანს? რედ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 276—277. რედ.

4. თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო კრიზისი. (პარუფსი).

რენტის გაბერვა და დამკვიდრება. რენტის ტვირთი.

5. კაპიტალის „მისია“ მიწათმოქმედებაში.

- | | |
|---|--|
| { | 1) მიწათმფლობელობის გამოყოფა წარმოებისაგან |
| | 2) განსაზოგადობა |
| | 3) რაციონალიზაცია |

ბ. წვრილი წარმოება მიწათმოქმედებაში (1—4 ერთი წაკითხვა; 5—მეორე წაკითხვა).

1. მსხვილი მეურნეობის ტექნიკური უპირატესობა. სტატისტიკა. მანქანები. (მსხვილი მეურნეობა და მსხვილი მიწათმფლობელობა.)

2. გლეხობის განდევნა, პროლეტარიზაცია; ქალაქებში გაქცევა.—კუსტარული სარეწები.—Nebenarbeit*.

3. მუშაპირუტყვის გაუარესება. გერმანული სტატისტიკა. Kuhanspannung**.

დამატება. ბოდრილიარი, სუშონი, ხლაპოვსკი

4. კოოპერაციები. გერმანული სტატისტიკა²⁵. (ჰერცი, დავიდი etc.).

5. მსხვილი და წვრილი მეურნეობის შემოსავლიანობის შედარება. Klauwki, *** Stumpfe. შდრ. Hecht, Bäuerliche Zustände. } (აღამიანი)
პირუტყვი
მიწა

6. სამხრეთ გერმანიის ანკეტები. ბადენისა, ბავარიისა; ვიურტემბერგისა²⁶.

ბ. დასავლეთელი მარქსისტების საპროგრამო განცხადებანი.

გადავიდეს IV (დ) განყოფილებაში, ბოლოში?
დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ს.-დ.
აგრარული პროგრამა

* — დამხმარე სამუშაო. რედ.

** — ძროხის შებმა. რედ.

*** იხ. ეს ტომი, გვ. 132—153. რედ.

1. მარქსი და ენგელსი 40-იან წლებში. „კომუნისტური მანიფესტი“. — „ახალი რეინის გაზეთი“²⁷ — მარქსი ამერიკის მიწათმოქმედების შესახებ 40-იან წლებში²⁸.
2. ინტერნაციონალის გადაწყვეტილებანი²⁹, ენგელსი 74 წ., მისი პროგრამა³⁰.
3. აგრარული დებატები 95 წ.³¹ ენგელსი „Neue Zeit“-ში ფრანგულა და გერმანული პროგრამის შესახებ.

NB Sozialdemokratie auf dem Lande. Böttger Hugo)

4. **K. Kautsky „Soziale Revolution“-ში.**

[აქვე § დ-დან? რუსული აგრარული პროგრამის პრინციპები.]*

დ. აგრარული საკითხი რუსეთში.

Ad. დ. რუსეთის სასოფლო-სამეურნეო დაქვეითება. მოდუნება. შიმშილობანი. **დაცემა თუ გადასვლა კაპიტალიზმისაკენ?**

ნაროდნი-კული თეორიები	<ol style="list-style-type: none"> 1. თემი. ფისკალური ხასიათის უგულვებელყოფა. გამოცალკევების უგულვებელყოფა. 2. სახალხო წარმოება. ჩერნიშევსკი — ... (ვ. ვ., ნ.—ონი). 3. არარისნიადაგიკაპიტალიზმისათვის. არარის შინაგანი ბაზარი. დაქვეითება. 	<p>გაქცევა ცენტრალური რაიონების „სახალხო წარმოებიდან“ დედაქალაქში და განაპირა მხარეებში.</p>
-----------------------	---	--

NB

4. ნაროდნიკული თეორიების ისტორიული მნიშვნელობა.
5. გლახობის დაშლა. საერთო მონაცემები. ჯამი-მნიშვნელობა (=წვრილი ბურჟუაზია)
6. კლასთა ბრძოლა სოფლად. სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის წარმოშობა. გადასვლა საბატონო მეურნეობიდან კაპიტალისტურზე.

* განყოფილება „გ“ გადახაზულია ვ. ი. ლენინის მიერ. რედ.

7. საეკონომიკური და კაპიტალისტური მიწათმოქმედების ზრდა.
8. ბატონყმობის ნაშთებთან ბრძოლა. გადაადგილების თავისუფლება (მასლოვი)³². თემიდან გასვლა. მიწის გასხვისების თავისუფლება.
9. ს. დ. აგრარული პროგრამა. „ჩამონაკრები“.

—————

ნარკვევი II³³ (აგრარული სტატისტიკა)

1. ჰენტი + ბავარიისა
2. (აუჰაგენი) Klawki. + ვიურტემბერგისა
3. „Bäuerliche Zustände“ + *Stumpfe*
4. ბადენის ანკეტა.
5. გერმანული აგრარული სტატისტიკა
წერილი მეურნეობა
ლათინური
საშუალო გლეხობა. პირუტყვის გაუარესება.
6. პირუტყვი. ტექნიკური წარმოებანი.
7. სარძევე მეურნეობა (მეთამბაქოეობა, მევენახეობა).
8. კოოპერაცია.
9. სოფლის მოსახლეობა მდგომარეობის მიხედვით.

რენტა³⁴.

- A. 1 დესეტინა—80 ფუთი. დახარ-
ჯული კაპიტალის 40 მან. +8 მან.
მოგება=48 მან. : 80= 60 კაპ. 51.₂ მან. (64 კაპ.) 3.₂ მან.
- B. 1 დესეტინა—75 ფუთი. დახარ-
ჯული კაპიტალის 40 მან. +8 მან.
მოგება=48 : 75= 64 კაპ. 48 მან. (64 კაპ.)
- A) —64 მან. 16 მან.
- B) —60 მან. 12
- C) 1 დესეტინა—60 ფ. დახარ-
ჯული კაპიტალის 40 მან. +
+8 მან. მოგება=48 : 60= 80 კაპ. 48 მან.

დაწერილა 1903 წ.

10(23) თებერვალზე აღრე

პირველად დაიბეჭდა 1932 წ.
ლენინის XIX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მეორე ვარიანტი

მარქსისტული უხედილუებანი აგრარულ საკითხზე
ევროპასა და რუსეთში

A. აგრარული საკითხის ზოგადი თეორია. (ერთი წაკითხვა A-ზე)

1. თეორია ვარაუდობს კაპიტალისტური მიწათმოქმედება = სასაქონლო წარმოება + დაჭირავებული შრომა, სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა: ბაზრის წარმოქმნა ქალაქები (ევროპასა და რუსეთში) ინდუსტრიული განვითარება (Parvus) საერთაშორისო ვაჭრობა პურით.

სავაჭრო მიწათმოქმედების ფორმები:
მისი რაიონები
სპეციალიზაცია
ტექნიკური წარმოებანი

მაგალითი რძის მეურნეობის კონცენტრაციისა მეურნეობებში 2 ha-მდე: გვ. 173 სტატისა*.

დავიდი, S. 152, note**; «Im allgemeinen prosperiert in der Gärtnerei, wie in der Landwirtschaft, der Kleinbetrieb. Nach der Betriebszählung von 1895 entfielen von 32 540 Kunst- und Handlungsgärtnereien.

NB: დავიდი (და კ. კაუტცი) Kunst- und Handlungsgärtnerei შესახებ.

40% 20 ar-მდე
25 „ 20—50 „
„nur“ 6% > 2 ha***

* — იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 265—266. რ ე დ.
** — შენიშვნა. რ ე დ.
*** — „საერთოდ, მებოსტნეობასა და მებაღეობაში, სწორედ ისე როგორც

ბაზრისადმი გლეხის დამორჩილების ხარისხი

{ ფულის } ფულადი ბიუჯეტის %.
 { საჭი- } მევახშენი. გადასახადები.
 { როება } საშინაო პატრიარქალური სარეწების დაცემა
 (კ. კაუტსკი და ენგელსი)
 გლეხი = მრეწველი და ვაჭარი სანახევროდ („kapital“, III, 2, 346³⁵, „კაპიტალიზმის განვითარება“, 100*)

ფერმერთა და დაქირავებულ სასოფლო-სამეურნეო მუშათა კლასის შექმნა პროცესის დასაწყისია (K. Kautsky. S. 27³⁶. „კაპიტალი“, III, 2, 332³⁷. „კაპიტალიზმის განვითარება“ 118**)

სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშაობის სხვადასხვაგვარი ფორმები („კაპიტალიზმის განვითარება“ 120***)

შდრ. სტატია გვ. 68—70 წვრილ მიწათმოქმედთა „დამოუკიდებლობისა“ და „არადამოუკიდებლობის“ შესახებ****.

(არა) გავლენა მიწათმფლობელობის ფორმისა („კაპიტალიზმის განვითარება“ 242*****)

გლეხთა ნაკვეთების დაქუცმაცება, დაპატარავება.

2. რენტის თეორია.

მარქსის Wert თეორია*****. რენტა შეიძლება იყოს მხოლოდ Mehrwert-დან*****, ე. ი. Surplusprofit-დან*****.

სოფლის მეურნეობაში, აყვავებულია წვრილი წარმოება. 1895 წ. სამრეწველო სტატისტიკის მონაცემებით, 32 540 საბაღე და საბოსტნე მეურნეობიდან 40% 20-მდე არია; 25%—20—50-მდე არია; და „მხოლოდ“ 6% აღემატება 2 ჰექტარს“. რ ე დ.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 3, გვ. 166. რ ე დ.

** იხ. იქვე, 188—190. რ ე დ.

*** იხ. იქვე, გვ. 193—194. რ ე დ.

**** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 241—243. რ ე დ.

***** იხ. თხზულებანი. მე-4 გამოცემა, ტომი 3, გვ. 373—374. რ ე დ.

*****—ღირებულების თეორია. რ ე დ.

*****.—ზედმეტ ღირებულებიდან. რ ე დ.

- 307—309; იხ. აგრეთვე ლენინის წერილი პლენანოვისადმი (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 34, გვ.159—160).—19.
- 33 „ნარკვევ II“-ში იგულისხმება ვ. ი. ლენინის შრომის—„აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსების“ V—IX თავები, რომლებიც 1906 წლის თებერვალში გამოქვეყნდა ჟურნალ „ობრაზოვანიეს“ № 2-ში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 195—277).—19.
- 34 გაანგარიშება რენტის შესახებ ლენინმა გააკეთა ხელნაწერის გვერდებზე, სადაც გაკეთებულია ჩანაწერი: „ნ ა რ კ ვ ე ვ ი II (ა გ რ ა რ უ ლ ი ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა)“—19.
- 35 იხ. კ. მარქსი. „კაპიტალი“, ტ, III², 1959, გვ. 438. — 21.
- 36 ვ. ი. ლენინი იმოწმებს კ. კაუცკის წიგნს „Die Agrarfrage“ („აგრარული საკითხი“).—21.
- 37 იხ. კ. მარქსი. „კაპიტალი“, ტ. III², 1959, გვ. 421.—21.
- 38 იხ. კ. მარქსი „კაპიტალი“, ტ, III², 1959, გვ. 354—396, თავი 45 „აბსოლუტური მიწის რენტა“.—23.
- 39 იხ. კ. მარქსი „კაპიტალი“, ტ. III², 1959, გვ. 261—262.—24.
- 40 ამონაწერი, რომელშიც გამოთქმულია კ. მარქსის აზრი რ. ჯონსას შესახებ („კაპიტალი“, ტ. III², 1959, გვ. 397) იხ. ლენინის XIX კრებულში, გვ. 309—310, აგრეთვე ვ. ი. ლენინის შრომაში „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში“. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 13, გვ. 377—379.—24.
- 41 იგულისხმება პ. ა. ვიხლიაევის შრომა „ნარკვევები რუსეთის სასოფლო-სამეურნეო სინამდვილიდან“. სპბ. 1901.—28.
- 42 ვ. ი. ლენინის რეფერატი თემაზე „სოციალისტ-რევოლუციონერებისა და სოციალ-დემოკრატების აგრარული პროგრამა“ წაკითხულ იქნა პარიზში 1903 წლის 3 მარტს საზოგადოებრივ მენიერებათა რუსულ უმაღლეს სკოლაში, აგრარულ საკითხზე ლექციის შემდეგ. ამ სკოლაში არსებული პირობების გამო ლენინს არ შეეძლო თავის ლექციებზე პროგრამულ-პოლიტიკური დასკვნები გაეკეთებინა და ისინი გადმოსცა განსაკუთრებული რეფერატის სახით, რომელიც წაკითხულ იქნა სკოლის გარეთ, რუსული კოლონიის წევრებისათვის. რეფერატის განხილვა გრძელდებოდა ოთხ დღე: 3, 4, 5 და 6 მარტს. ოპონენტებად გამოდიოდნენ: ნევზოროვი (ი. მ. სტეკლოვი)—„ბორბას“ ჯგუფისაგან, ბ. ნ. კრიჩევსკი — „რაბოჩე დელოსაგან“, ვლადიმროვი (ვ. მ. ჩერნოვი)— ნაროდნიკებისაგან, ნ. ჩაიკოვსკი, ო. მინორო—სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან, ვ. ჩერქეზოვი—ანარქისტებისაგან და სხვ.

ამ ტომში იბეჭდება რეფერატის კონსპექტის ორი ვარიანტი, საბოლოო სიტყვის გეგმები და კონსპექტები და რეფერატის რეზიუმე. ოპონენტთა გამოსვლების ლენინიეული ჩანაწერი და სხვადასხვა წყაროსა და ლიტერატურას ამონაწერები იხ. ლენინის XIX კრებულში.

რეფერატის კონსპექტის მოცულობა და შინაარსი ისეთია, რომ შესაძლოა ის უნდა გამომდგარიყო აგრეთვე გეგმად ბროშურისათვის ესერების წინააღმდეგ. ასეთი ბროშურის დაწერის განზრახვის შესახებ ლენინი სწერდა პლეხანოვს 1903 წ. 28 იანვარს (იხ. ლენინის IV კრებული, გვ. 208).—31.

- 43 „სოციალისტ-რევოლუციონერები“ (ესერები)—წვრილბურჟუაზიული პარტია რუსეთში; წარმოიშვა 1901 წლის დამლევს—1902 წლის დამდეგს სხვადასხვა ნაროდნიკულა ჯგუფებისა და წრეების („სოციალისტ-რევოლუციონერთა კავშირი“, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია და სხვ.) გაერთიანებას შედეგად. მისი ოფიციალური ორგანოები გახდნენ გაზეთი „რევოლუციონაია როსსია“ (1900—1905) და ჟურნალი „ვესტნიკ რუსსკოი რევოლუციი“ (1901—1905). (1907—1914). ესერების შეხედულებანი ნაროდნიკობისა და რევოზიონიზმის იდეების ექლექტიკურ ნარევს წარმოადგენდა; ესერები ცდილობდნენ, ლენინის გამოთქმა რომ ვიხმართ, „ნაროდნიკობის გაცვეთილი ადგილები“ გაემთელებნათ „მარქსიზმის მოდური ოპორტუნისტული „კრიტიკის“ საკერებლებით“ (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 9, გვ. 381). ესერები ვერ ხედავდნენ კლასობრივ განსხვავებებს პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, ჩქმალავდნენ კლასობრივ ფენებად დაყოფას და წინააღმდეგობებს გლეხობის შიგნით, უარყოფდნენ რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს. ინდივიდუალურ ტერორის ტაქტიკა, რომელსაც ესერები ქადაგებდნენ როგორც თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ძირითად მეთოდს, დიდ ზიანს აყენებდა რევოლუციურ მოძრაობას, აძნელებდა რევოლუციური ბრძოლისათვის მასების დარაზმის საჭმეს.

ესერების აგრარული პროგრამა ითვალაწინებდა მიწის კერძო საკუთრების მოსპობას და მის გადასვლას თემების განკარგულებაში გათანაბრებათა სარგებლობის საწყისებზე, აგრეთვე ყოველგვარი კოოპერაციის განვითარებას. ამ პროგრამაში, რომელსაც ესერები ცდილობდნენ „მიწის სოციალიზაციის“ პროგრამად წარმოედგინათ, სოციალისტური არაფერი იყო, რადგან მხოლოდ მიწას კერძო საკუთრების მოსპობას, როგორც ლენინმა ცხადყო, არ შეუძლია მოსპოს კაპიტალის ბატონობა და მასების სიღატაკე. ესერების აგრარული პროგრამის რეალური, ისტორიულად პროგრესული შინაარსი იყო მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობისათვის ბრძოლა; ეს მოთხოვნა ობიექტურად გამოხატავდა გლეხობის ინტერესებსა და მისწრაფებებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში.

ბოლშევიკების პარტია ამხელდა ესერებს ცდებს ამოფარებოდნენ სოციალისტთა ნიღაბს, შეუპოვრად ებრძოდა ესერებს გლეხობაზე გავლენისათვის, ააშკარავებდა მათი ტაქტიკის — ინდივიდუალური ტერორის ზიანს მუშათა მოძრაობისათვის. იმავე დროს ბოლშევიკები, გარკვეულ პირობებში, დროებით უთანხმდებოდნენ ხოლმე ესერებს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გლეხობის კლასობრივმა არაერთგვაროვნებამ განაპირობა, საბოლოო ანგარიშში, იდეურ-პოლიტიკური უმტკიცობა და ორგანიზაციული განხეთქილება ესერების პარტიაში, მათი მუდმივი მერყეობა ლიბერალურ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. უკვე რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ესერების პარტიას ჩამოშორდა მემარცხენე ფრთა, რომელმაც შექმნა ლეგალური „ზრომის სახალხო-სოციალისტური პარტია“ (ენესები), რომელიც თავისი შეხედულებებით ახლოს იდგა კადეტებთან, და მემარცხენე ფრთა, რომელიც „მაქსიმალისტების“ ნახევრად ანარქისტულ კავშირად გაფორმდა. სტალიპინის რეაქციის პერიოდში ესერების პარტია სრულ იდეურსა და ორგანიზაციულ რღვევას განიცდიდა. პირველი მსოფლიო ომის წლებში ესერების უმრავლესობა სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ესერები, მენშევიკებთან ერთად, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-მემამულური დროებითი მთავრობის მთავარი დასაყრდენი იყვნენ, ხოლო პარტიის ლიდერები (კერენსკი, ავქსენტევი, ჩერნოვი) მის შემადგენლობაში შედიოდნენ. ესერების პარტიამ უარი თქვა მხარი დაეჭირა გლეხთა მოთხოვნისათვის მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის მოსახდენად, იგი გამოვიდა მიწის მემამულური საკუთრების შენარჩუნების დასაცავად; დროებითი მთავრობის ესერი მინისტრები დამსჯელ რაზმებს გზავნიდნენ იმ გლეხთა წინააღმდეგ, რომლებიც ხელთ იგდებდნენ ხოლმე მემამულეთა მიწებს.

1917 წლის ნოემბრის დამლევს ესერებს მემარცხენე ფრთამ ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი მემარცხენე ესერებს პარტია. მემარცხენე ესერებმა, რომლებიც ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი გავლენა გლეხთა მასებში, ფორმალურად ცენეს საბჭოთა ხელისუფლება და შეუთანხმდნენ ბოლშევიკებს, მაგრამ მალე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გზას დაადგნენ.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში ესერებმა კონტრრევოლუციურ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ, აქტიურად უჭერდნენ მხარს ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებს, მონაწილეობდნენ კონტრრევოლუციურ შეთქმულებებში, აწყობდნენ ტერორისტულ აქტებს საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა წინააღმდეგ. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ესერები

განაგრძობდნენ მტრულ საქმიანობას საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის შიგნით და თეთრგვარდიული ემიგრაციის ბანაკში.—31.

- 44 აქ ლა ქვემოთ ვ. ი. ლენინი გულისხმობს ა. რუდინის ბროშურას „გლეხთა საკითხისათვის“, 1903 წელი. ამ ბროშურის გამო ლენინი ჰლებხანოვს 1903 წლის 28 იანვარს სწერდა: „ნახეთ პაწია ბროშურა რუდინისა („სოციალისტ-რევოლუციონერისა“, „გლეხთა საკითხისათვის“) ? უთავხედესი არამზადები! მე რუდინისა და სოციალიზაციის შესახებ № 15-ის გამო საშინლად შექავება ხელები!.. აზრმა გამიელვა: დავწერო სტატია რუდინის წინააღმდეგ და ცალკე გამოვეცე „სტატიები სოციალისტ-რევოლუციონერების წინააღმდეგ“ „რევოლუციურ ავანტურისზმთან“ ერთად“ (ლენინის IV კრებული, გვ. 208).—31.
- 45 ციტატი აღებულია მიმართვიდან „სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის გლეხთა კავშირისაგან რუსეთის რევოლუციური სოციალიზმის ყველა მუშაკისადმი“. მიმართვა დაიბეჭდა გაზეთში „რევოლუციონნაია როსსია“ № 8, გვ 8.
- „რევოლუციონნაია როსსია“—ესერების არალეგალური გაზეთი; რუსეთში სცემდა „სოციალისტ-რევოლუციონერთა კავშირი“ 1900 წლის დამლევინდან (№ 1, რომელიც დათარიღებული იყო 1900 წლით, ფაქტურად გამოვიდა 1901 წლის იანვარში). 1902 წლის იანვრიდან 1905 წლის დეკემბრის ბოლომდე გაზეთი გამოდიოდა საზღვარგარეთ (ყენევა), როგორც ესერების პარტიის ოფიციალური ორგანო.
- კონსპექტში რეფერატისა „სოციალისტ-რევოლუციონერებისა და სოციალისტ-დემოკრატების აგარული პროგრამა“ ლენინმა გააკრიტიკა სტატია „გლეხთა მოძრაობა“ და მიმართვა „სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის გლეხთა კავშირისაგან რუსეთის რევოლუციური სოციალიზმის ყველა მუშაკისადმი“, რომლებიც დაიბეჭდა „რევოლუციონნაია როსსიას“ № 8-ში, აგრეთვე სვრია სტატიებ-სა, რომლებიც დაიბეჭდა №№ 11—15-ში საერთო სათაურით „საპროგრამო საკითხები“.—31.
- 48 ვ. ი. ლენინის ჩანაწიშნები ბროშურაზე „რუსეთის მთელ გლეხობას სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის გლეხთა კავშირისაგან“, 1902 წ. იხ. ლენინის XIX კრებულში, გვ. 315—316.—34.
- 47 ლაპარაკია ციტატის გამო ა. ს. მარტინოვის ბროშურიდან „მუშები და რევოლუცია“. „რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის“ გამოცემა, ყენევა, 1902 წ.—35.
- 48 იხ. ციტატი ა. ნ. ენგელგარდის წიგნიდან—„სოფლიდან“ ლენინის XIX კრებულში, გვ. 310.—35.
- 49 ამ მონაცემების კრებში იხ. ლენინის XIX კრებულში, გვ. 313, ხოლო მათი კომენტარები—რეფერატის რეზიუმეში (ეს ტომი, გვ. 47—48).—35.

- 50 „ციტატი ვ. ვ.-დან“ (ვ. პ. ვორონცოვიდან) იხ. ლენინის XIX კრებულში, გვ. 311—312; ამ ციტატის ნაწილი ლენინმა მოიყვანა და კომენტარი გაუკეთა სტატიაში „პასუხი პროგრამის ჩვენი პროექტის კრიტიკაზე“ (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 6, გვ. 561).—35.
- 51 ვ. ი. ლენინის შენიშვნები წიგნზე „Les syndicats agricoles et leur oeuvre“ par le comte de Rocquigny (გრაფი დე როკიანი. „სამიწათმოქმედო სინდიკატები და მათი საქმიანობა“) იხ. ლენინის XXXII კრებულში, გვ. 24—49.—36.
- 52 წყაროს დასახელებაში გაპარულია შეცდომა, ლაპარაკია „რუსსკიე ვედომოსტის“ შესახებ, რომლის მოწინავეს იმოწმებდა ვ. ჩერნოვი ვ. ი. ლენინის რეფერატის განხილვისას 1903 წლის 4 მარტს. ამის შესახებ იხ. ლენინის XIX კრებული, გვ. 270 და 282 (პუნქტი 12).—44.
- 53 „რუსსკიე ვედომოსტი“ 1903 წლის 4 თებერვალს იუწყებოდა ლენდლორდებისა და მოიჯარეების წარმომადგენელთა კონფერენციის შესახებ, რომელიც 1902 წ. დეკემბერში შედგა დუბლინში. კონფერენციამ შეიმუშავა მოხსენება, რაშიაც აღნიშნა ზოგადი საფუძვლება, რომლებზეც, მისი აზრით, შეიძლებოდა მომხდარიყო ლენდლორდებისაგან მიწის გამოსყიდვა სახელმწიფო ხაზინის დახმარებით.—46.
- 54 ციფრება ახასიათებს გლეხობის კლასობრივ ჩვეულებებს ცხენთა ფლობის მიხედვით და ნიშნავს შემდეგს: გლეხური ბურჟუაზიის 1 1/2 მლნ. მეურნეობას ჰყავდა 6 1/2 მლნ. ცხენი 14 მილიონი ცხენიდან, რომლებიც ჰყავდა ყველა გლეხურ მეურნეობას; საშუალო გლეხთა 2 მლნ. მეურნეობას ჰყავდა 4 მლნ. ცხენი; 6 1/2 მლნ. ნახევრადპროლეტარულ და პროლეტარულ მეურნეობას (ე. ი სოფლის ღარიბობის მეურნეობებს) ჰყავდა 3 1/2 მლნ. ცხენი. ამის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 6, გვ. 472—473 და ლენინის XIX კრებული, გვ. 343.—48.
- 55 გამოქვეყნებული დოკუმენტი არის გეგმა შრომისა ან რეფერატისათვის „გლეხობა და სოციალ-დემოკრატია“. ასეთი შრომის დაწერის ან ამ თემაზე რეფერატით ლენინის გამოსვლის შესახებ ცნობა არ მოიპოვება.
ლენინისეული მასალები იმ ავტორთა შრომების შესწავლის თაობაზე, რომლებიც მოხსენიებულია „გლეხობა და სოციალ-დემოკრატის“ გეგმებში, დაბეჭდილია წინამდებარე ტომში, აგრეთვე ლენინის კრებულებში XIX, XXXI და XXXII. —50.
- 56 კონსპექტი და კრიტიკული შენიშვნები ს. ბულგაკოვის წიგნზე „კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება“ ვ. ი. ლენინს ჩაუწერია რვეულში, რომელიც დასათაურებულია ასე: ა გ რ ა რ უ ლ ი - რ უ ს უ ლ ი (და უ ც ხ ო უ რ ი) ლიტერატურა აგრარულ საკითხზე“. ეს მოსამზადებელი მასალები ფართოდ არის გამოყენებული შრომაში „აგრარული საკითხი და „მარ-

- ქსის კრიტიკოსები“⁴, სადაც ბულგაკოვის მოსაზრებანი ყოველმხრივ გაკრიტიკებულ იქნა.—55.
- 57 იხ. კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III², 1959. 351—352.—55.
- 58 ციფრები ნაშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მფლობელთა რაოდენობა 1855 წელს იყო 55, 1861 წელს—236, ხოლო მანქანებით მომუშავეთა რიცხვი—1205. 1871 წელს ორივე ეს კატეგორია ერთად გამოითვალეს და საერთო რიცხვი უდრიდა 2160-ს, ხოლო 1881 წელს ის შეადგენდა 4222-ს.—59.
- 59 *Small Holdings Akt 1892* (კანონი წვრილ მეურნეობათა შესახებ), მიიღო ინგლისის პარლამენტი 1892 წელს იმ მიზნით, რომ სოფლად შეენარჩუნებიათ მიწათმოქმედი მოსახლეობა და ხელახლა შეექმნათ XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში მოსპობილი წვრილი გლეხობა (იომენები)—იფი სამუშაო ძალის წყარო მსხვილ კაპიტალისტურ ფერმერულ მეურნეობათათვის. ამ კანონს ფართო გამოყენება და პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონია.—60.
- 60 ინსტები, ინსტმანები (Instleute)—მოჯამაგარენი გერმანიაში; ისინი კონტრაქტით იყვნენ დაქირავებული ხანგრძლივი ვადით, ცხოვრობდნენ საკუთარ საცხოვრებელში მსხვილი მიწათმფლობელის მიწაზე და ღებულობდნენ, გარდა ფულადი ქირისა, მოსაელის ნაწილს მიწის განსაზღვრული ნაკვეთიდან (მონახევრობა)—61.
- 61 მიღლები — კულაკობის ნაირსახეობა, შუამავლები ლენდლორდებსა და მოიჯარეებს შორის ირლანდიაში. მიღლებები ქირაობდნენ ლენდლორდებისაგან მიწის დიდ (20—150 და მეტ აკრს) ნაკვეთებს, აქუცმაცებდნენ მათ წვრილ (1—5 აკრი) ნაკვეთებად და ამ უკანასკნელთ წლიურ იჯარად აძლევდნენ წვრილ მოიჯარეებს კაბალურ პირობებში.—69.
- 62 P. S.—ავტორი სტატიის „Die neuere russische Gesetzgebung über den Gemeindebesitz“ („უახლესი რუსული სათემო კანონმდებლობა“) „Archiv für soziale Gesetzgebung und Statistik“-ში. 7. Band. Berlin. 1894. SS. 626—652. („სოციალური კანონმდებლობისა და სტატისტიკის არქივი“. მე-7 ტომი. ბერლინი, 1894, გვ. 626—652).—85.
- 63 ეს მასალა ლენინმა გამოიყენა თავის შრომაში „აგარარული საკითხი და მარქსის კრიტიკოსები“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 167—173).—97.
- 64 იხ. კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. 1, 1954, 426, 442—443.—98.
- 65 მონაცემების კრიტიკულ ანალიზს წიგნიდან: M. Hecht. „Drei Dörfer der badischen Hard“. Leipzig, 1895 (მ. ჰეხტი. „ბადენის პარდის სამი სოფელი“. ლაიპციგი, 1895) ლენინი იძლევა თავისი შრომის—აგარარული საკითხი და

„მარქსის კრიტიკოსები“ V თავში— „თანამედროვე მოწინავე წვრილ მეურნეობათა აყვავება“. ზადენის მაგალითი“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 195—205).—108.

- 56 ამ შენიშვნის პირველ სტრიქონში ლენინი აღნიშნავს ჰებტის ციფრობრივი მონაცემების სხვადასხვაობას პურის სათესი ფართობის ოდენობის შესახებ ფრიდრიხსტალში. 28-ე გვერდზე ავტორი მიუთითებს, რომ ამ სოფელში პური დათესილი იყო 143 მორგენზე-51, 48 ჰექტარზე. ხოლო წიგნის 21-ე გვერდზე პურის სათესი ფართობის ოდენობა იმავე სოფლისათვის განსაზღვრულია საერთო სათესი ფართობის 18% ოდენობით, რაც შეადგენს 46,44 ჰექტარს. შენიშვნის მეორე სტრიქონი წარმოადგენს 678 მორგენის (ბლანკენლოხის პურის სათესი ფართობი, რომელიც მითითებულია ჰებტის წიგნის 28-ე გვერდზე) დაახლოებით გადაანგარიშებას ჰექტარზე. —114.
- 57 ციფრების პირველი სვეტი (გასაყოფი) აღნიშნავს მიწის საერთო რაოდენობას (ჰექტარობით) თვითეულ სოფელში ცალკე: ფრიდრიხსტალში, ბლანკენლოხსა და ჰაგსფელდში; მეორე სვეტი (გამყოფი)—მიწის საშუალო რაოდენობა (ჰექტარობით) ოჯახზე თვითეულ სოფელში; ციფრების მესამე სვეტი—დაახლოებით რიცხვი ოჯახებისა თვითეული სოფლის მიხედვით.—115.
- 58 კრიტიკულ განხილვას სტატიისა H. Auhagen. „Über Groß- und Kleinbetrieb in der Landwirtschaft“ (ჰ. აუჰაგენი „მსხვილი და წვრილი წარმოების შესახებ სოფლის მეურნეობაში“) ლენინი ნაწილობრივ იძლევა თავისი შრომის „აგარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები“ VI თავში—„წვრილ და მსხვილ მეურნეობათა ნაყოფიერება. მაგალითი აღმოსავლეთ პრუსიდან“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 206—207). — 48.
- 59 როცა მუშაობდა ნაწარმოებზე „აგარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები“, ლენინმა გამოიყენა მასალები გერმანელი ეკონომისტის K. Klawki-ს სტატიიდან: „Über Konkurrenzfähigkeit des landwirtschaftlichen Kleinbetriebs“, რომელიც მოთავსებული იყო „Landwirtschaftliche Jahrbücher“, Bd. XXVIII. Berlin, 1899. (კ. კლავკი. „წვრილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეტოქეობის უნარიანობის შესახებ“, რომელიც მოთავსებული იყო „სასოფლო-სამეურნეო წელიწადულში“, ტომი XXVIII. ბერლინი, 1899).

კლავკის სტატიაში აღწერილია 12 ტიპური გერმანული მეურნეობა (ოთხ-ოთხი მეურნეობა—მსხვილი, საშუალო და წვრილი მეურნეობანი), რომლებიც ერთნაირ პირობებში არიან. ლენინმა გულდასმით განიხილა და კრიტიკულად გადაამუშავა მონაცემები ამ სტატიისა, რომელიც დეტალური გამოკვლევა იყო, მაგრამ საჭირო განზოგადებებსა და სწორ დასკვნებს არ შეიცავდა. მონაცემები კლავკის სტატიიდან ლენინმა გამოიყენა უმთავრესად VI თავში „წვრილ და მსხვილ მეურნეობათა ნაყოფიერება“.

ფიერება. მაგალითი აღმოსავლეთ პრუსიიდან“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 206—224). ლენინი ააშკარავებს, რომ უსაფუძვლო ბულგაკოვის ცდა გამოიყენოს კლავკის სტატია ბურჟუაზიული თეორიის დასაცავად მიწათმოქმედებაში მსხვილ მეურნეობათა წინაშე წვრილ მეურნეობათა უპირატესობის შესახებ. იმ მონაცემების მეცნიერული დამუშავება, რომლებიც კლავკის გამოკვლევებშია, როგორც ლენინი აღნიშნავს, ადასტურებს მსხვილი მეურნეობის ტექნიკურ უპირატესობას. მიწათმოქმედებაში, იგი ახასიათებს წვრილი გლეხის მეტისმეტ შრომასა და კვების ნაკლებობას, მის გადაქცევას მსხვილი მეურნეობების მოჭამა-გირედ და დღიურ მუშად, ცხადყოფს, რომ წვრილ მეურნეობათა რიცხვის ზრდა დაკავშირებულია გლეხობის გაჭირვებისა და პროლეტარიზაციის ზრდასთან.

ლენინის დასკვნებს, რომლებიც გაკეთებული იყო კლავკის სტატიის ფაქტიური და სტატისტიკური მონაცემების დაწვრილებით განხილვისა და გადამუშავების შედეგად, ადასტურებდა მასობრივი მონაცემებიც გერმანიის გლეხურ მეურნეობათა შესახებ. წინააღმდეგ კლავკისა, რომელიც არ წვდებოდა ეკონომიური პროცესების არსს და უგულუბელყოფდა გლეხურ მეურნეობათა ცალკეული ჯგუფების შედარებითს ანალიზს (თავის დასკვნებს კი ამყარებდა ზეპირად აღებულ საშუალო სიდიდეებზე), ლენინმა, დაჰყო რა სხვადასხვა ტაპებად, ღრმა მარქსისტული ანალიზი გაუკეთა გლეხური მეურნეობის განვითარებას კაპიტალიზმის დროს. ამ მონაცემების საფუძველზე ლენინმა შეადგინა კრებითი ცხრილი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 209).

კლავკის სტატიის მონაცემების გულმოდგინე შემოწმებისა და მეცნიერული დაჯგუფების შედეგად ლენინი ააშკარავებს, რომ მცდარია კლავკის გაანგარიშებანი მსხვილ და წვრილ მეურნეობათა შედარებითი შემოსავლიანობის მხრივ. ლენინის დახასიათებით, ანტიმეცნიერული ხერხები, რომლებსაც კლავკი იყენებს წვრილი მიწათმოქმედების უპირატესობის დასაბუთებისათვის, თავისი მთავარი ნიშნებით ყველა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიული ეკონომისტის დამახასიათებელი იყო. ამიტომ, ამ ხერხების განხილვა კლავკის გამოკვლევათა მაგალითზე დიდად საინტერესოა. ლენინმა იმ კონკრეტულ სტატისტიკურ მასალაზე, რომლითაც კლავკი სარგებლობდა, გამოააშკარავა სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავების ხერხებისა და გამოყენების მთელი სიყალბე, აგრეთვე იმ დასკვნების მთელი უსუსურობა, რომლებსაც აკეთებდნენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ეკონომისტები კაპიტალიზმის დროს სოფლის მეურნეობის განვითარების კანონზომიერებათა შესახებ.—132.

70 *Landwirtschaftliche benutzte Fläche* — სასოფლო-სამეურნეო დასამუშავებელი ფართობი. მოსამზადებელ მასალებში ლენინი მეტწილად ხმარობს ტერმინს „*landwirtschaftliche benutzte Fläche*“ რუსულ ენაზე თარგმნის გარეშე, და მასში შეაქვს საკუთრივ სასოფლო-სამეურნეო ფარ-

თობიც (ე. ი. მინდვრის კულტურებით დაკავებული მიწები, მდელოები და საუკეთესო საძოვრები), აგრეთვე ბაღები, ბოსტნები და ვენახები (იხ. ამ ტომის 152 და 198 გვ.). ცალკეულ შემთხვევებში ლენინი თარგმნის ამ ტერმინს სიტყვებით „სასოფლო-სამეურნეო ფართობი“ (იხ. ამ ტომის 193 გვ.). ამტომის 384 გვერდზე ლენინი აღნიშნავს, რომ გერმანულ წყაროში „landwirtschaftliche benutzte Fläche“ შეცვლილია ტერმინით „Überhaupt landwirtschaftliche Fläche“ ერთი და იგივე მონაცემების აღსანიშნავად.

შრომაში „აგარაკული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები““ ლენინი ხმარობს ტერმინებს „მთელი სასოფლო-სამეურნეო ფართობი“ და „სასოფლო-სამეურნეო ფართობი“, როდესაც მოჰყავს ციფრები *landwirtschaftliche benutzte Fläche* (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 247 და 255). შრომაში „ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. ნაკვეთი I. კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში“ ლენინი წერს: „მიწის რაოდენობის მიხედვით ფერმების ჯგუფებად დაყოფის დროს ამერიკული სტატისტიკა იღებს მთელი მიწის რაოდენობას და არა მარტო დამუშავებულ მიწას, რაც, რა თქმა უნდა, უფრო სწორი იქნებოდა და რასაც გერმანული სტატისტიკა შერება“ (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 47—48). — 138.

- 71 *Schirwerker* — შრომისუნარიანი ოჯახის წევრი, ან არა ოჯახის წევრი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მუშის ოჯახში ცხოვრობს და ვალდებულია ოჯახის უფროსის მიერ მემამულესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იმუშაოს მასთან, მაგრამ უხდის დამკონტრაქტებელი სასოფლო-სამეურნეო მუშა (ოჯახის უფროსი). — 142.
- 72 *Deputant* (დებუტანტი) — მოჯამაგირე, რომელიც იღებს მუდმივ წლაურ ხელფასს, და ამას გარდა, განსაზღვრულ ნატურალურ საქონელს, როგორც ხელფასის ნაწილს — მიწის ნაკვეთი და ბინა მიწამთვლობელის ეკონომიაშია (მეურნეობაში). — 149.
- 73 *სადებუტანტო მიწა* — მიწა, რომელსაც მემამულე ხელშეკრულებით ატლევს სასოფლო-სამეურნეო მუშას, როგორც მისი ხელფასის ნატურალურ ნაწილს. — 152.
- 74 *ხელნაწერი „ბრაზე და სხვები“* წარმოადგენს რეველს, რომელსაც გარკვეულ ფერად ვანქრით აწერია ეს სათაურა. ამონაწერები, როგორც ჩანს, გაკეთებულია იმავე დროს, როცა აღებულია ამონაწერები კ. კლავკის სტატიიდან (იხ. ეს ტომი, გვ. 132—153), რადგან კ. კლავკის სტატიიდან აღებული ამონაწერების ბოლოში მითითებულია: „შეადარე ბრაზეს სტატია, განსაკუთრებით გვ. 292 და 297 — 298“. — 154.

- 75 ვ. ი. ლენინი ვარაუდობდა გამოყენებინა მონაცემები წიგნიდან A. Souchon. „La propriété paysanne“ (ა. სუშონი. „გლეხური საკუთრება“) თავის ნაშრომში „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები““ და ლექციებში „მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე ევროპასა და რუსეთში“, რომლებიც წაკითხულ იქნა 1903 წლის 23—26 თებერვალს პარიზში, აგრეთვე ნაშრომში „გლეხობა და სოციალ-დემოკრატია“ (იხ. ეს ტომი. გვ. 3, 17, 26, 51). — 166.
- 76 ლაპარაკია იმაზე, რომ ა. სუშონი თავის წიგნში (24-ე გვერდზე ტექსტში და სტრიქონქვეშა 1 შენიშვნაში) იმოწმებს გამოცემას: „Ministère de l'agriculture française, Enquête de 1892“, p. 247 à 249 („საფრანგეთის მიწათმოქმედების სამინისტრო. 1892 წლის ანკეტა“, გვ. 247—249). — 166.
- 77 *Allotments act* — ინგლისის 1887 წლის 16 სექტემბრის კანონი მუშებისათვის მიწის წვრილი ნაკვეთების გამოყოფის შესახებ. ა. სუშონის წიგნში ამ კანონის შესახებ ნათქვამია: „Allotments“-ის გამოყენება არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ მუშებს ეძლევათ მიწის უწყრილესი ნაკვეთები, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს გაიდიონ შემოსავალი რაიმე მცირედენი სასოფლო-სამეურნეო რესურსებით, უკეთეს შემთხვევაში ჰყავდეთ ერთი ძროხა ან რამდენიმე ცხვარი“ (გვ. 151). — 168.
- 78 ლენინი აპირებდა წიგნის F. Maurice „L'agriculture et la question sociale. La France agricole et agraire“. Paris, 1892 (ფ. მორისი. „მიწათმოქმედება და სოციალური საკითხი. სამიწათმოქმედო და აგრარული საფრანგეთი“. პარიზი, 1892) შესახებ მასალები გამოეყენებინა თავის ნაშრომში „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები““. იხ. ამ ნაშრომის გეგმები (ეს ტომი, გვ. 3, 6, 10, 11). — 169.
- 79 ლენინი გაეცნო წიგნს A. von Chlapowo — Chlapowski. „Die belgische Landwirtschaft im 19. Jahrhundert“. Münchener volkswirtschaftliche Studien. Herausgegeben von L. Brentano und W. Lotz. Stuttgart, 1900 (ა. ფონ ხლაპოვო-ხლაპოვსკი. „ბელგიის სოფლის მეურნეობა მე-19 საუკუნეში“. მიუნხენის ეკონომიური გამოკვლევა. ლ. ბრენტანოს და ვ. ლოტცის გამოც. შტუტგარტი, 1900), როცა ამზადებდა თავის ნაშრომს „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები““. ამას მოწმობს ხლაპოვსკის წიგნის მოხსენიება ლენინის ამ ნაშრომის წინასწარ გეგმა-კონსპექტებში (იხ. ეს ტომი, გვ. 3, 6 და 11). ლენინი ვარაუდობდა ეს მასალა გამოეყენებინა აგრეთვე თავის ლექციებში აგრარულ საკითხზე პარიზში (იხ. იქვე, გვ. 26). — 175.
- 80 ამ ტომში ქვეყნდება ნაწილი ვ. ი. ლენინის შენიშვნებისა ბადენის ანკეტის მასალებზე.
ამონაწერები ბადენის ანკეტათა მონაცემებისა წარმოადგენს მოსამზადებელ მასალას ვ. ი. ლენინის ნაშრომის „აგრარული საკითხი და

„მარქსის კრიტიკოსები“ VII თავისათვის „ბადენის ანკეტა გლეხური მეურნეობის შესახებ“, რომელშიც ეს მასალები ფართოდ არის გამოყენებული კაპიტალიზმის დროს გლეხობის კლასობრივ ფენებად დაშლის ანალიზისა და დახასიათებისათვის.

ბადენის ანკეტის მასალები, როგორც აღნიშნავდა ლენინი, შესაძლებელს ხდიდნენ გლეხობის ცალკეული ჯგუფების განსხვავებას, გამოყოფას. მაგრამ „გამოკვლევის შედეგების“ შემდგენელნი არ იძლეოდნენ გლეხურ მეურნეობათა მეცნიერულ დაჯგუფებას; ისინი ერთმანეთს უპირისპირებდნენ არა მეურნეობათა სხვადასხვა ჯგუფებს, არამედ მთლიანად აღებულ თემებს. ეს ხერხი ზეპირად აღებულ საშუალოთა გამოყოფენისა, რომელნიც ჩქმალადდნენ კლასობრივ სხვაობებს გლეხობის შიგნით, „მარქსის კრიტიკოსებმა“ აგრარულ საკითხში გამოიყენეს.

ლენინმა მოგვცა გერმანული სოფლის კლასობრივი სტრუქტურის მეცნიერული დახასიათება და ამ მიზნისათვის გამოიყენა ბადენის საანკეტო გამოკვლევის განზოგადებული მონაცემები. მან გამოჰყო სამი ტიპური ეკონომიური ჯგუფი: მსხვილი, საშუალო და წვრილი გლეხური მეურნეობები, რისთვისაც გადაამუშავა და ანალიზი გაუკეთა სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც 31 მსხვილი, 21 საშუალო და 18 წვრილ მეურნეობას ეხება.

გლეხურ მეურნეობათა სამი ტიპური ჯგუფის მიხედვით ლენინმა განსაზღვრა საშუალო ოდენობანი მიწათმფლობელობისა, საშუალო ოდენობანი ოჯახებისა და დაქირავებული შრომის გამოყენებისა, აგრეთვე მეურნეობის გაძღოლის შედეგებისა მიღებული წმინდა მოგების სახით. მიწათმფლობელობისა და წმინდა მოგების ოდენობათა შესახებ მონაცემების დამუშავებისას ლენინი იძლევა გაანგარიშების ორ ვარიანტს: სამოცდაათივე მეურნეობისათვის და მათგან სამი თემის 10 მეურნეობის გამორიცხვით, რომლებიც მიწათმფლობელობის განსაკუთრებით დიდი ოდენობით გამოირჩეოდნენ. ტიპური მოვლენების გამოყოფისა და ამავე დროს მოვლენათა მთელი ერთობლიობის მონაცემების მიხედვით დასკვნების შემოწმების ამ ლენინურ ხერხს დიდი მნიშვნელობა აქვს სტატისტიკის მეთოდოლოგიისათვის.

ეკონომიური ანალიზის შედეგად ლენინმა გამოაშკარავა სამეწარმეო, კაპიტალისტური ხასიათი მსხვილი გლეხური მეურნეობებისა, რომელთა გაძღოლა ხდება მოჯამაგირეთა და დღიურ მუშათა დაქირავებულ შრომის შემწეობით და რომლებიც ყველაზე დიდ წმინდა მოგებას იღებდნენ თვითივე მეურნეობაზე. ამავე დროს წვრილი გლეხური მეურნეობები ძლივს ახერხებდნენ ცხოვრებისათვის თავის გარდამებას. გლეხურ მეურნეობათა ჯგუფების მიხედვით მოხმარებული უმნიშვნელოვანესი პროდუქტების რაოდენობის შესახებ ბადენის ანკეტის მეცნიერულად დამუშავებული მონაცემების საფუძველზე ლენინმა ცხადყო, რომ წვრილი გლეხი

მნიშვნელოვანი ოღენობით ამცირებს თავის მოხმარებას საშუალო და მსხვილ გლეხთან შედარებით. ფულათ შესაძენ პროდუქტებზე წვრილი გლეხი იმდენსავე რომ ხარჯავდეს, რამდენსაც საშუალო გლეხი ხარჯავს, მას უდიდესი დეფიციტი ექნებოდა, და საშუალო გლეხი რომ იმდენსავე ხარჯავდეს, რამდენსაც მსხვილი, მასაც დეფიციტი ექნებოდა. ამის საფუძველზე ლენინი აკეთებს დასკვნას, რომ „წმინდა მოგება“ არამცთუ წვრილისა, არამედ საშუალო გლეხისაც კი ნამდვილი ფიქციაა“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 229). ამით ლენინმა ამხილა ყალბი ხერხები „მარქსის კრიტიკოსებისა“, რომლებიც ცდლობდნენ შეელამაზებინათ წვრილი გლეხების გაჭირვებული მდგომარეობა, მათი კვების ნაკლებობა და გალატაკება.

ბადენის ანკეტის მასალების ანალიზის საფუძველზე ლენინმა აღნიშნა, რომ გერმანიის გლეხური მეურნეობის ეკონომიკის ძირითადი ნიშნები ჰგავს რუსეთისას, რომ კაპიტალისტური განვითარების პროცესი იწვევს დაქირავებულ შრომაზე დამყარებულ კაპიტალისტურ მეურნეობათა უმცირესობის შექმნას და გლეხთა უმრავლესობისათვის იმის საჭიროების ზრდას, რომ ეძებონ გარე-საშოვრები, ე. ი. გადაიქცენ დაქირავებულ მუშებად. „გლეხობის დაშლა, — წერს ლენინი, — გვიჩვენებს კაპიტალიზმის უაღრესად დრამა წინააღმდეგობებს თვით მათი წარმოშობისა და შემდგომი ზრდის პროცესში; ამ წინააღმდეგობათა სრულ შეფასებას აუცილებლად მივყავართ იმის აღიარებამდე, რომ წვრილი გლეხობის მდგომარეობა გამოუვალი და უიმედოა (უიმედო — გარეშე პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისა მთელი კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ)“ (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 5, გვ. 236). ამით ლენინმა ცხადყო ეკონომიური საფუძველები მუშათა კლასის და წვრილი გლეხობის ინტერესთა ერთობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი კავშირის აუცილებლობისა.

ბადენის ანკეტის მონაცემების გადამუშავების შედეგად ლენინის მიერ მიღებულ მასალებს, გარდა მათი დიდი პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობისა, უაღრესად დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს იმ მეთოდების გამოსარკვევად, რომლებსაც მიმართავდა ლენინი სტატისტიკური მონაცემების გადასამუშავებლად და გამოსაყენებლად მარქსისტული ეკონომიურა ანალიზის საჭიროებისათვის (მაგალითად, გლეხური მეურნეობების მეცნიერულად აგებულ სტატისტიკურ დაჯგუფებათა გამოყენება, განსაზღვრა და გამოყენება შემოსავლიანობისა, მოხმარებისა და ა. შ. მათი დიფერენცირებული საშუალო სიდიდეების საფუძველებზე, გლეხთა კლასობრივი ჯგუფების მიხედვით). სტატისტიკური მონაცემების დამუშავების ლენინური მეთოდები ძვირფასი წვლილია მარქსისტული სტატისტიკის მეთოდოლოგიაში. — 177.

81 აქ მოხსენებული ამონაწერი მონაცემებისა 70 ბიუჯეტის შესახებ წარმოადგენს დიდ ცხრილს, რომელსაც ეწოდება „ბადენის ანკეტის 70 ბიუჯეტის

მონაცემების კრების“ და რომელიც შეიცავს ლენინის მიერ დამუშავებულ ბადენის ანკეტას სტატისტიკურ მონაცემებს. უპის წიგნაკში შეტანილი ეს ამონაწერები ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში. აღნიშნულ მონაცემების დამუშავებისას ლენინმა მსხვალი, საშუალო და წვრილი გლეხური მეურნეობების ცალკეული ჯგუფების მიხედვით განსაზღვრა მიწათმფლობელობის საშუალო ოდენობანი, ოჯახების ოდენობანი, ნაღდი შემოსავალი და გასავალი (ძირითადი მუხლების გამოყოფით) და შემოსავლისა და გასავლის შეპირისპირების შედეგად გამოიანგარიშა ნამეტი ან დეფიციტი. გარდა ამისა, ცხრილშია შრომის მაჩვენებლები (მაგალითად, შრომის დანახაოჯი 1 ჰა-ზე, დაქირავებული მუშახელი დღიური ძუშების გამოყოფით), აგრეთვე მონაცემები დამხმარე გარე-საშოვრების შესახებ და სხვ. ამ მონაცემების ანალიზი იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 224—233. — 178.

82 ნაშრომის „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები““ (ქურნალ „ობრაზოვანიეს“ 1906 წლის № 2-ში პირველი ჰუბლიკაციის) VII და IX თავების ტექსტიდან ჩანს, რომ ვ. ი. ლენინი ფიქრობდა განეხილა ამ ნაშრომში საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის მონაცემები და კრიტიკულად გაერჩია ფრანგი ეკონომისტების ნაშრომები. IX თავისადმი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 268) ვ. ი. ლენინის შენიშვნის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი სპეციალურად სწავლობდა მევენახეობას მდგომარეობას საფრანგეთში. ამიტომ შესაძლებელია, რომ E. Seignouret-ს წიგნით „Essais d'économie sociale et agricole“ (ე. სენიურე. „სოციალური და სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის ნარკვევები“) ლენინი სარგებლობდა, როცა ამზადებდა ნაშრომს „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები““ 1901 წლის ივნის—სექტემბერში. — 184.

83 ლენინის რვეული „გერმანიის აგრარული სტატისტიკიდან“ შეიცავს შენიშვნებსა და ამონაწერებს წიგნიდან „Statistik des Deutschen Reichs“, Neue Folge, Bd. 112. „Die Landwirtschaft im Deutschen Reich nach der landwirtschaftlichen Betriebszählung vom 14. VI. 1895“, Berlin, 1898 („გერმანიის სტატისტიკა“, ახალი სერია, ტომი 112. „სოფლის მეურნეობა გერმანიაში 1895 წლის 14 ივნისის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო აღწერის მონაცემების მიხედვით“, ბერლინი, 1898 წ.). ამ რვეულში ასახულია პროცესი გერმანიის ორი სასოფლო-სამეურნეო აღწერის (1832 და 1395 წლების) მონაცემების დამუშავებისა ლენინის მიერ, რომლებაც გამოყენებულა ნაშრომის „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები““ მომზადებისას (უქთაერესად VIII და IX თავებისათვის). დაწერის დროის მიხედვით რვეული განეკუთვნება ამ ნაწარმოებზე ლენინის მუშაობის პირველ პერიოდს (1900—1901 წლები). მთელი რიგ შემთხვევ-

ბში რვეულში შეტანილია ლენინის მიერ უფრო გვიან გაკეთებული დამატებითი ამონაწერები გერმანიის 1907 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებისა წიგნიდან „Statistik des Deutschen Reichs“, Band 212. Teil 1a. „Berufund Betriebszählung vom 12. Juni 1907. Landwirtschaftliche Betriebsstatistik“, Berlin, 1909 და Band 212, Teil 2a, 1910 („გერმანიის სახელმწიფო სტატისტიკა“, ტომი 212, ნაწილი 1ა. — „პროფესიათა და საწარმოთა 1907 წლის 12 ივნისის აღწერა. სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა სტატისტიკა“, ბერლინი, 1909 წ. და ტომი 212, ნაწილი 2ა, 1910 წ.). ეს დამატებანი ლენინს გაკეთებული აქვს 1910 წელს და სჭირდებოდა ნაშრომისათვის გერმანიის სოფლას მეურნეობის შესახებ.

გერმანიის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის მონაცემები ლენინმა გამოაყენა იმისათვის, რომ გაეგებებინა მარქსის ეკონომიური მოძღვრების „კრიტიკებს“ დასკვნები იმის შესახებ, რომ დასავლეთში თითქოს აღგაოჰქონდა მსხველა მეურნეობის განდევნას წერილი და საშუალო გლეხური მეურნეობის მიერ.

გერმანიის აგრარულ სტატისტიკის გადამუშავებული მონაცემების საფუძველზე ლენინი ცხადყოფს გლეხობის პროლეტარიზაციის ორ პროცესს: ჭერ ერთი, გლეხების მზარდ გაბოვანებას, სოფლას მოსახლეობის ექსპროპრიაციას, რომელიც მიწის მქონე მუშებიდან უმიწო მუშებად იქცევა; მეორე, გლეხობის „დამხმარე გარე-საშოვრების“ განვითარებას, ე. ი. მრეწველობასთან მიწათმოქმედების იმ შეერთებას, რომელიც პროლეტარიზაციის პირველ საფეხურს ნიშნავს.

ლენინის მიერ გერმანიის აგრარული სტატისტიკის მასალების დამუშავება სტატისტიკური მონაცემების მეცნიერული ანალიზისა და დამუშავების ნიმუშს წარმოადგენს. ლენინი მეურნეობებს აჯგუფებდა არა ერთ ნაჰენს (მაგალითად, ფართობის სიდიდის), არამედ რამდენიმე ნიშნის მიხედვით: სას.-სამ. მანქანების რაოდენობა, სპეციალური კულტურებით დაკავებული ფართობი და ა. შ.; იყენებდა სხვადასხვა დაჯგუფებათა კომბინირებას (შეერთებას), ე. ი. თვითეული ჯგუფის (მაგალითად, ფართობის სიდიდის მიხედვით გამოყოფილის) დაყოფას ქვეჯგუფებად პირუტყვის რაოდენობისა და სხვა ნიშნების მიხედვით. კვლევის პროცესში ლენინს ხშირად უხდებოდა იმ სტატისტიკური მონაცემების გადამუშავება და დაზუსტება, რომლებსაც იყენებდა; იგი გადააკეთებს ხოლმე მთელ რიგ ცხრილებს (მაგალითად, სავაჭრო მემოსტენობის კონცენტრაციის დამახასიათებელ ცხრილს და სხვ.), ამსხილებს მეურნეობათა ჯგუფების ინტერვალებს უფრო ტიპურის გამოვლენის მიზნით და ამავე დროს ცალკე გამოჰყოფს ტექნიკურ (მაქარის, არყის სახდელ და სხვ.) წარმოებებთან შეერთებულ ლატიფუნდიებს. ლენინი გამოიანგარიშებს ხოლმე პროცენტებს, რომლებიც გვიჩვენებენ, მაგალითად, მეურნეობათა ცალკე ჯგუფების ზედრიტს წონას, განსაზღვრავს მეურნეობათა თვითეულ ჯგუფში მათი ოდენობის (სასოფლო-სამეურნეო ფართობის)

მიხედვით 100 მეურნეობაზე უმნიშვნელოვანეს სახეობათა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხმარების შემთხვევათა რიცხვის საშუალო აბსოლუტურ მაჩვენებლებს და ა. შ. — 190.

- 84 მევენახეობაში მიწის კონცენტრაციის მონაცემების ეს კრების ლენინს გაკეთებული აქვს წინა ცხრილის საფუძველზე. ციფრების მარცხენა სვეტი ნიშნავს მეურნეობათა დაჯგუფებას, მარჯვენა სვეტი—მიწის შესაბამის დაჯგუფებას ამ მეურნეობებში. პირველი წყვილი ციფრები ეხება 20 არ-ამდე ფართობის ვენახებს; მეორე წყვილი ციფრები — 20—50 არი ფართობის ვენახებს; მესამე წყვილი ციფრები — 50 არი — 5 ჰექტარი და მეტი ფართობის ვენახებს. — 193.
- 85 სხვადასხვა მეურნეობებში ძროხების რაოდენობის 1895 წლის მონაცემებს ლენინი განიხილავს მსხვილ მეურნეობებში პირუტყვის კონცენტრაციის დასახასიათებლად. ყველა მეურნეობის საერთო რიცხვი და სამივე ჯგუფის ყველა მეურნეობაში ძროხების საერთო რიცხვი ხელნაწერში მიწერილია ამ ცხრილის ზემოთ (რადგან ქვემოთ აღვნიშნავთ არ არის). — 215.
- 86 ეს დოკუმენტი შედგება ცალკე ფურცლებზე გაკეთებული ჩანაწერებისაგან.

გარდა ამისა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში არის გამოუქვეყნებელი მოსამზადებელი მასალები, რომლებიც ეხება საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკას და შეიცავს კონსპექტურ შენიშვნებსა და ამონაწერებს სხვადასხვა წყაროებიდან. მათ ეკუთვნის უწინარეს ყოვლისა კრებულები „Statistique agricole de la France. Résultats généraux de l'Enquête décennale de 1892“ („საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა. ზოგადი დასკვნები 1892 წ. გამოკვლევის ათი წლის მანძილზე“), „Statistique générale de la France. Résultats statistiques du Dénombrement de 1896“ („საფრანგეთის საერთო სტატისტიკა. 1896 წ. აღწერის სტატისტიკური შედეგები“), აგრეთვე სხვა წლების გამოკვლევათა (აღწერათა) შედეგები. სტატისტიკური მონაცემების ბევრი ამონაწერი მათი განმარტებითა და კრიტიკული შენიშვნებით გაუკეთებია ლენინს შემდეგი წიგნებიდან: K. Kautsky. „Die Agrarfrage“ (კ. კაუტსკის „აგრარული საკითხი“); ს. ბულგაკოვი. „კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება“, ტ. II; F. Maurice. „L'agriculture et la (question sociale. La France agricole et agraire“ (ფ. მორისი. „მიწათმოქმედება და სოციალური საკითხი. სამიწათმოქმედო და აგრარული საფრანგეთი“); A. Souchon. „La propriété paysanne. Étude d'économie rurale“ (ა. სუშონი. „გლეხური საკუთრება. სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის ნარკვევი“); ნ. კულდრინი. „გლეხთა საკითხი საფრანგეთში“; 1901 წლის „შრომის ბიუროს ბიულეტენი“ და სხვები.

საფრანგეთის სტატისტიკიდან ამოწერილ მასალებს შორის სჭარბობს

განზოგადებული მონაცემები, კერძოდ, მეურნეობათა დაჯგუფებანი სასოფლო-სამეურნეო ფართობის ოდენობის მიხედვით სხვადასხვა წლებში. ლენინი აღნიშნავს როგორც საფრანგეთის სტატისტიკის დადებით მხარეს „აქტიური“ (ე. ი. თვითმოქმედი) მოსახლეობის გამოყოფას და მოჰყავს იქიდან ვრცელი მონაცემები „აქტიური“ მოსახლეობის შემადგენლობაში შემავალი კატეგორიების შესახებ. ანალოგიურ მონაცემებს ლენინი იღებს ფ. მორისის ზემოაღნიშნული წიგნიდან და ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა წყაროებთან აღებულ ერთგვაროვან სტატისტიკურ მონაცემებს, ახასიათებს ამ წყაროებს და გამოჰყავს დასკვნები „აქტიური“ მოსახლეობის თვითული ჩვეულის (კატეგორიის) რიცხვსა და ხვედრით წონაში მომადარ ყოველწლიურ ცვლილებათა შესახებ.

საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის ზემოთ დახასიათებული ყველა მასალა, ლენინის მიერ გადამუშავებული და განზოგადებული, იძლეოდა გლახურ მეურნეობათა სხვადასხვა კლასობრივ ჯგუფებში მეურნეობის ცალკეულ მხარეთა ვრცელ დახასიათებას, ადასტურებდა მარქსიზმის დებულებებს მსხვილ მეურნეობის უპირატესობათა და მისი როლის გაძლიერების შესახებ, წერილ გლახთა პროლეტარიზაციის შესახებ. — 220.

- 87 ამ კრებისთი ცხრილს შედგენისას ლენინს საფუძვლად აქვს აღებული შესაბამისი წლების სტატისტიკური მონაცემები იმ ქვეყნებისა, რომლებსაც ერთმანეთს ადარებს. ცალცალკე მონაცემები გერმანიის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ ამოღებულია „Statistik des Deutschen Reichs“-დან, Band 112 („გერმანიის სტატისტიკიდან“, ტომი 112); ნაწილი კონაცეპტებისა საფრანგეთის შესახებ — იქიდანვე, მეორე ნაწილი — „Statistique agricole de la France“-იდან. Résultats généraux de l'enquête décennale de 1892. Tableaux („საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა“. ზოგადი დასკვნები 1892 წ. გამოკვლევისათვის წლის მანძილზე. ცხრილები): მონაცემები ბელგიის შესახებ — „Statistique de la Belgique“. Agriculture. Recensement général de 1880 („ბელგიის სტატისტიკა“. სოფლის მეურნეობა. 1880 წლის საერთო აღწერა) და „Annuaire statistique de la Belgique 1896“-დან („ბელგიის 1896 წლის სტატისტიკური წელიწადული“); მონაცემები დანიის შესახებ — „Die Neue Zeit“-იდან, XIX. Jahrgang 1900—1901, Band II, გვ. 623 (სტატია G. Bang. „Die landwirtschaftliche Entwicklung Dänemarks“ — გ. ბანგი. „დანიის სასოფლო-სამეურნეო განვითარება“). — 226.

- 88 ლენინი პოლანდიის 1890 წლის სამიწათმოქმედო ანექტის უწოდებდა „Uitkomsten van het Onderzoek naar den Toestand van den Landbouw in Nederland“ („ნიდერლანდში მიწათმოქმედების მდგომარეობის გამოკვლევის შედეგები“), რომლებიც 4 ტომად გამოქვეყნდა 1890

წელს ჰაგაში. შედეგები ამ გამოკვლევისა, რომელიც 95 თემს მოიცავდა, სხვა ქვეყნების მსგავსი გამოკვლევებისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ მონაცემები სრულად არ იყო მოყვანილი და, როგორც ლენინი აღნიშნავდა, არ იყო კრებები ყველა თემის შესახებ ერთად. მაგრამ ამ მასალებიდანაც ლენინმა ამოიღო საინტერესო მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ მეურნეობათა სხვადასხვა ჯგუფებს (ტიპური თემები), აგრეთვე მეურნეობათა ჯგუფებს (ცალკეული თემების ფარგლებში), რომლებიც გამოყოფილია მიწის ოდენობის, მოჭამაგირეებისა და მუშების რიცხვის, ცხენების რაოდენობის და სხვა ნიშნების მიხედვით. ეს მონაცემები ახასიათებდნენ პოლანდიის მიწათმოქმედების კაპიტალისტურ ხასიათს. — 229.

- 89 ლენინს განძახული ჰქონდა მოეცა სოფლის მეურნეობაში მსხვილი და წერილი წარმოების საკითხზე ე. შტუმპფეს შეხედულებათა კრიტიკა მთელ რიგ თავის ნაშრომებში („აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკონები““, „მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე ევროპასა და რუსეთში“-იხ. ეს ტომი, გვ. 19, 26, 51) იმასთან დაკავშირებით, რომ შტუმპფეს ნაშრომებს იმოწმებდნენ ბევრნი „მარქსის კრიტიკოსთაგან“. — 233.
- 90 ნაშრომი G. Fischer. „Die sociale Bedeutung der Maschinen in der Landwirtschaft“ (გ. ფიშერი. „მანქანების სოციალური მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში“) ლენინს უფრო ადრე შეუსწავლია, ვიდრე Stumpe-ის სტატია „Ueber die Konkurrenzfähigkeit des kleinen und mittleren Grundbesitzes gegenüber dem Grossgrundbesitz“ (შტუმპფე. „წერილი და საშუალო მიწათმფლობელობის კონკურენციული უნარის შესახებ მსხვილთან შედარებით“); ამ სტატიიდან ამონაწერებში ლენინი ფიშერის ნაშრომს იხსენიებს როგორც შესწავლილს (იხ. ეს ტომი, გვ. 241). — 252.
- 91 ლენინის შენიშვნა ტექსტის ბოლოში „გასაკვირველი არ არის, რომ წიგნი (ბრიტანეთის მუზეუმში) გაუქრული რჩება“ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ლენინი ტიუროს წიგნს გაეცნო ლონდონში ყოფნას პერიოდში, სადაც გადატანულ იქნა „ისკრის“ გამოცემა, ე. ი. არაუადრეს 1902 წლის აპრილისა. ლონდონში ლენინის სწავლობდა აგრარულ საკითხს პარტიის აგრარული პროგრამის დამუშავებასთან დაკავშირებით; პარიზში ლექციებზე და რეფერატების წაკითხვის წინ (1903 წლის თებერვალ—მარტში) იგი მუშაობდა საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკაზე. ტიუროს წიგნი მოხსენიებულია აგრეთვე ლენინის შენიშვნებში ე. ლეკუტეს წიგნზე (იხ. ლენინის XXII კრებული, გვ. 381). — 270.
- 92 ლენინი ბოდრილიარს პირველად იხსენიებს ამონაწერებში ჰერცის წიგნიდან „აგრარული საკითხები სოციალიზმთან დაკავშირებით“ (1901 წ. ივნისი — სექტემბერი). ნაშრომის „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკონები““ გვემბეჭდები ლენინი ასახელებს ბოდრილიარს ჰერცისა

- და ბულგაკოვის სიტყვების მიხედვით. კონსპექტებში ლექციებისა „მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე ევროპასა და რუსეთში“ (1903 წ., 10 (23) თებერვალზე აღრე) ბოდრილიარის ნაშრომებს იხსენებს როგორც უკვე შესწავლილებს. ამ ტომში ქვეყნდება ლენინის შენიშვნები H. Baudrillart-ის ერთ წიგნზე: „Les populations agricoles de la France. 3-me sèrie. Les populations du Midi“. Paris 1893 (ა. ბოდრილიარი. „საფრანგეთის მიწათმოქმედი მოსახლეობა. მე-3 სერია. სამხრეთის მოსახლეობა“. პარიზი 1893). ამონაწერები და კრიტიკული შენიშვნები ბოდრილიარის მეორე წიგნზე „Les populations agricoles de la France. La Normandie“. Paris 1880 („საფრანგეთის მიწათმოქმედი მოსახლეობა. ნორმანდია“. პარიზი 1880) იხ. ლენინი XXXII კრებული, გვ. 82—105. ორივე დოკუმენტს უჭირავს დიდი ნაწილი რვეულისა, რომელიც ლენინს დაუსათაურებია „ბოდრილიარი+Bac-khaus“. — 271.
- 93 წიგნის სრულ საბელწოდება: Comte de Rocquigny. „Les syndicats agricoles et leur oeuvre“. Paris, 1900 (გრაფი დე როკინი. „სამიწათმოქმედო სინდიკატები და მათი საქმიანობა“. პარიზი, 1900). ამონაწერები ვ. ი. ლენინის კრიტიკული შენიშვნებით ამ წიგნზე იხ. ლენინი XXXII კრებული, გვ. 24—49. — 274.
- 94 იგლისხმება წიგნი Elie Coulet „Le mouvement syndical et coopératif dans l'agriculture française. La fédération agricole“. Montpellier, 1898 (ელი კულე. „სინდიკალური და კოოპერაციული მოძრაობა საფრანგეთის მიწათმოქმედებაში. სამიწათმოქმედო ფედერაცია“. მონპელე, 1893). იხ. ეს ტომი, გვ. 273. — 274.
- 95 რუანე, რომელსაც მოჰყავს ციტატა დეპუტატთა პალატაში დეშანელის გამოსვლიდან, სადაც შექებულია სამიწათმოქმედო სინდიკატების საქმიანობა მუშათა სასარგებლოდ, შენიშნავს: „და აი როგორ წერს ბ-ნი დეშანელი სამიწათმოქმედო სინდიკატების ისტორიას ამ სინდიკატების წევრთა ტაშის გრიალში, რომელთა სრული აღტაცება გამოიწვია იმის მოულოდნელად შეტყობამ, რომ მათ ესოდენ საუცხოო საქმეები გაუკეთებიათ“. — 275.
- 96 ლექციებში „მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე ევროპასა და რუსეთში“ და პარიზში წაკითხულ რეფერატში ლენინი იხსენიებს ნოსიგს როგორც ერთ-ერთს იმ მწერალთა შორის, „რომლებიც თანაუგრძნობენ არა მარქსისტულ თეორიას, არამედ მის „კრიტიკას“... და „რომელთა საკუთარი მონაცემები... მათ წინააღმდეგ მეტყველებენ“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 424). შენიშვნები ხელნაწერზე იმას მოწმობს, რომ ლენინს არაერთხელ მიუმართავს მისთვის. მაგალითად, ცალკე

სიტყვების ჩანაწერი ტექსტში გამეორებულია ლურჯი ფანქრით, ალბათ იმიტომ, რომ მოსახერხებელი ყოფილიყო ლექციის კითხვის დროს; ზოგიერთი სიტყვის თარგმანი ფრჩხილებში ჩაწერილია უბრალო ფანქრით. — 276.

- 97 ვ. ი. ლენინს ე. დავიდის წიგნი „Socialismus und Landwirtschaft“ („სოციალაზმი და სოფლის მეურნეობა“) წაუკითხავს მისი გამოკვლადან ცოტა ხნის შემდეგ. მაგალითად, გ. ვ. პლენანოვიასადმი 1903 წლის 15 მარტის წერილში ვ. ი. ლენინი წერს: „დავიდი უკვე გამოვიწერე და ახლა ვკითხულობ. საშინლად წყალწყალა, უფერული და უხამსია“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 159). სტატიაში „Les beaux esprits se rencontrent (ჩვენებურად დაახლოებით ასეა: სული სულს იცნობს)“ (დაბეჭდილია „ისკრაში“ № 38, 1903 წლის 15 აპრილს) ლენინი უკვე აკრიტიკებს დავიდის წიგნის ძირითად დებულებებს (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 538—543). დავიდის წიგნის—„აგარაულ საკითხში რევიზიონიზმის მთავარი ნაშრომის“—გაშლილი კრიტიკა ლენინს მოცემული აქვს თავისი ნაშრომის „აგარაული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები““ X თავში (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 13, გვ. 207—221). ხაზგასმათა ხასიათიდან ჩანს, რომ ლენინი თავის შენიშვნებს ხელმეორედ დაბრუნებია, მთელი რიგი ადგილებისათვის ხაზი გაუსვაძს წითელი და ლურჯი ფანქრით; ხელმეორედ გადასინჯვის დროსვე წითელი ფანქრით ხაზგასმულია ხელნაწერში მოხსენიებული წყაროების ყველა სახელწოდება, — 278.
- 98 იგულისხმება ფ. ენგელსის სტატია „გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში“ (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 507—532). — 279.
- 99 ლენინს მხედველობაში აქვს ვ. ვ-ს (ვ. ჰ. ვორონცოვის) ნაშრომი „პროგრესული მიმდინარეობანი გლეხურ მეურნეობაში“. სპბ., 1892 წ., გვ. 70—84. იხ. მის შესახებ ვ. ი. ლენინი თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 3, გვ. 310—311. — 292.
- 100 აქ ლენინი იმოწმებს გ. დრეკსლერას მონაცემებს, რომლებიც ამ უკანასკნელმა გამოაქვეყნა როგორც 1875 და 1884 წლების განმეორებითი სასოფლო-სამეურნეო გამოკვლევის შედეგები. იგულისხმება დრეკსლერის ორი ნაშრომი ამ საკითხზე: 1) „Die bäuerlichen Zustände in einigen Teilen der Provinz Hannover“ „Schriften des Vereins für Sozialpolitik“-ში XXIV. 1883; 2) „Die Verteilung des Grundbesitzes und der Viehhaltung im Bezirke des landwirtschaftlichen Kreisvereins Göttingen“ „Landwirtschaftliche Jahrbücher“-ში herausgegeben von Dr. H. Thiel. XV. Band. Berlin, 1886 (1) „გლეხების მდგომარეობა ჰანოვერის პროვინციის ზოგიერთ ნაწილში“ „სოციალური პოლიტი-

კის კავშირის შრომაში“. XXIV. 1883; 2) „მიწის საკუთრებისა და პირ-
უტყვის განაწილება გიოტინგენის საოლქო სასოფლო-სამეურნეო საზო-
გადოების რაიონში“ „სასოფლო-სამეურნეო წელიწდულებში“, გამოცემა
დ-რ. 3. თილისა. XV ტომი. ბერლინი, 1886). გ. დრეკსლერის ორივე ნაშრო-
მის მონაცემების კრიტიკული გარჩევა ლენინმა მოგვცა თავისი ნაშრო-
მის „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები““ XI თავში (იხ.
თხზულებანი, მე-4 გამოც. ტომი 13, გვ. 224—237). — 301.

- 101 შენიშვნები და ამონაწერები წიგნიდან „Hand and machine labor“
(Thirteenth annual report of the commissioner of labor. 1898. Vol.
I and II („ხელით და მანქანური შრომა“ შრომის საკითხთა კომისიის
მე-13 წლიური ანგარიში. 1898 წ. ტომები I და II), რომლებიც პირვე-
ლად ქვეყნდება, გაკეთებულია რვეულში, რომელშიც არის ამონაწერები
წიგნებიდან ეკონომიკის, სტატისტიკისა და ფილოსოფიის საკითხებზე,
აგრეთვე 1904 წლის 19 და 21 ოქტომბრის გაზეთებიდან. როგორც ჩანს,
ყველა ეს ამონაწერი ვ. ი. ლენინს გაუკეთებია 1904 წლის შემოდგომაზე
ქენევის ბიბლიოთეკაში.

ხელნაწერის მეორე ფურცელზე ლენინმა გააკეთა მითითება: „იხ. მაგალი-
თები ცალკე ფურცელზე“. წიგნის „ხელით და მანქანური შრომა“ ორივე
ტომიდან აღებული მაგალითები, რომლებიც ვ. ი. ლენინს ჩაწერილი
აქვს ცალკე ფურცელზე, ქვეყნდება ამ ტომის 308—313 გვერდებზე.
— 302.

- 102 ლენინი პირველად იხსენიებს ნაშრომს Leo Huschke. „Landwirtsch-
aftliche Reinertrags-Berechnungen bei Klein-, Mittel- und Großbel-
riebe dargelegt an typischen Beispielen Mittelthüringens“ (ლეო ჰუ-
შკე. წვირლ, საშუალო და მსხვილ მეურნეობებში სასოფლო-სამე-
ურნეო წარმოების წმინდა შემოსავლის გაანგარიშება შუა ტიურინგიის
ტიპური მაგალითების მიხედვით) ორ პლანში — „გლეხობა და სოცია-
ლ-დემოკრატია“ (იხ. ეს ტომი, გვ. 51). მასალა, რომელიც აქ ქვეყ-
ნდება, ლენინმა ნაწილობრივ გამოიყენა თავისი ნაშრომის „აგრარული
საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები““, VI თავის—„წვირლ და მსხვილ
მეურნეობათა ნაყოფიერება. მაგალითი აღმოსავლეთ პრუსიიდან“—შე-
ნიშვნაში 1908 წლის გამოცემისათვის (თხზულებანი მე-4 გამოც. ტო-
მი 5, გვ. 221). ამასთან ლენინი იმედს გამოთქვამდა, რომ „კლდე დაუ-
ბრუნდებოდა ბ-ნ ჰუშკეს საინტერესო წიგნს“ (იქვე). — 314.

- 103 ეს დოკუმენტი ხელნაწერში წარმოდგენს რვეულს, რომელსაც გარე-
კანზე აქვს სათაური „გერმანიის აგრარული სტატისტიკა (1907)“ და ზემო-
დან ფერადი ფანქრით აქვს წარწერა:

1) გერმანიის აგრარული სტატისტიკა

2) რუსეთის აგრარული სტატისტიკა

3) რუსეთში გაფიცვათა სტატისტიკა + უნგრეთის აგრარული
სტატისტიკა“.

ვ. ი. ლენინის მიერ გერმანიის 1907 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემების შესწავლა განეკუთვნება ჰერიოდს 1910-დან (სექტემბერზე ადრე) 1913 წლამდე (იენისზე გვიან).

